ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 1 მაისი 2004 №97 (2116) ფასი 50 თეთრი


## მოხსენი ბურთი, არ მოხსნა ქალი!

რა სარგებლობა მოაქვს ნბა-ს? ფული, სახელი, პოპულარობა, მანქანა, სასახლე (ქალები ნაკლებად). სამაგიეროდ, ისრუტავს მთელ თავისუფალ დროს. ...ძმაბიჭებში დროსტარებას ვინ ჩივის, თანაგუნდელებთან მოედანსგარეთა უბრალო ურთიერთობაც დეფიციტია — გვეუბნება ზაზა ფაჩულია — აქ ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს...

ამ უსასრულო სამყაროში კაცი სულ მარტოა. ამერიკაში გატარებული პირველი წლის შემდეგ ზაზა სამშობლოში დაბრუნდა და შინაურებს გადაუშალა გული



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო




| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:3 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 5:2 | 31 |
| დინამო | 6 | 1 | 3 | 2 | 9:6 | 31 |
| თბილისი | 6 | 3 | 3 | 0 | 11:4 | 30 |

## შეცვლის ცხრილს შეცვლილი დინამო?



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

„სიონი“ — „დინამო“ გვარიანი დაიჭი-არ გაუშვა იყო, „დინამო“ — „სიონი“ არანაკლები იქნება

თბილისის „დინამოში“ და მის ირგვლივ სიტუაცია გამძაფრებულია და ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტურიც განსაკუთრებულად მძაფრსიუჟეტიანი უნდა გამოდგეს — მთავარ როლში გია გეგუჩაძეა — ივო შუშაკის შემცვლელი დღეს პირველად გაიყვანს „დინამოს“ ჩემპიონატში და ისიც ლიდერ „სიონთან“.

დღეს თბილისში ბოლნისელები ჩამოვლენ — მათი „სიონი“ წლეულს ისე თამაშობს, როგორც არასდროს, ასეთი „სიონი“ ისტორიას არ ახსოვს და თუ „სიონმა“ არ ნააგო...

დღეს ეროვნული სტადიონიდან საფეხბურთო ხმები უნდა ისმოდეს — ჩემპიონატის კულმინაცია ამას უდავოდ იმსახურებს. პატარა ამბავი არც „შევარდენზეა“ — იქ „ვიტ ჯორჯია“ და „თბილისი“ გაიწევენ ერთმანეთზე, ასევე ჩემპიონობისთვის შემართული გუნდები.



## SCUDETTO

## მილანი?

ხვალ „სან სიროზე“ ისინი თვალებში ჩახედავენ ერთმანეთს. უკვე გარკვეულია, რომ სხვა მათ დავაში ველარ ჩაერევა: „მილანი“ ან „რომა“!

„მილანს“ მოგება უნდა. თუ გაიმარჯვებს, ხვალვე იზეიმებს ჩემპიონობას.

გამარჯვება სჭირდება „რომასაც“. მას შეუძლია, სხვაობა სამ ქულამდე შეამციროს და მერე კიდევ ორი ტურია.

ფრე? ფრის შემთხვევაში „მილანს“ ქულალა დასჭირდება სკუდეტოს მოსაპოვებლად.

მაგრამ ყველაფერს კონკურენტის დამარცხება სჯობს, თუმცა... „რომამ“ „სან სიროზე“ ბოლოს 1987 წელს გაიმარჯვა.

## რომა?



# ნათელი გონება და სამკუთხედები
## წყალტუბო წყალში გატეხეს



დიმიტრი ვერემჩუკის (№22) ზუსტ თავურზე ოთარ ბობოხიძის ნახტომი ამაო გამოდგა

**დავით თავართქილაძე**
წყალტუბოდან

**ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ** „სამგურალმა" ამ სეზონში შინ პირველად წააგო და ეს ძვირადაც დაუჯდა — ლიდერობა „ქობულეთმა" ჩამოართვა. წაუგებელი სერია კი წყალტუბოელებს „ამერმა" უმტვრია, რომელმაც ახალი მწვრთნელის გიორგი ჩიხრაძის ხელში ხუთი თამაშიდან სამი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და ერთიც წააგო. ბარემ იმასაც დავძენთ, რომ თასის მიმდინარე გათამაშების მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში „სამგურალმა" შინ თვით თბილისის „დინამო" დაამარცხა 3:1.

წყალტუბოში წვიმა მატჩის წინა დღეს დაიწყო და არც გუშინ გადაუღია. თუმც ტბორის მიუხედავად შეხვედრა საინტერესო გამოდგა — კარგად შეხურებული გუნდების რკენა იყო.

მეტოქეებმა შორეული დარტყმებით დაიწყეს ერთმანეთის ჩხვლეტა — დავით კიკვიძეს დავით ასლანაძემ აუღო, ხოლო დიმიტრი ვერემჩუკს მიზანმა უმტყუნა. მალე „სამგურალს" დაწინაურების ჩინებული შანსი მიეცა, მაგრამ შოთა დარსაძემ ასლანაძის შეცდომა ვერ შეირგო და მეკარისგან მიტოვებულ კარს ბურთი ააცილა. პირველ ტაიმში „სამგურალს" ერთხელაც შეეძლო გატანა: შოთა ქურციკიძემ „ამერის" საჯარიმოში დაუგორა ბურთი დარსაძეს, რომელმაც ხელსაყრელი პოზიციიდან განზე დაარტყა.

თანაბარი თამაში იყო. „სამგურალს" მონდომება და აგრესიულობა არ დაეწუნებოდა, მაგრამ „ამერი" უფრო გააზრებულად, საინტერესოდ თამაშობდა. თბილისელები მეტწილად მარჯვენა ფლანგიდან უტევდნენ, სადაც ამირან კედელაშვილსა და გიორგი სილაგავას ცენტრალური ნახევარმცველებიც ეხმარებოდნენ. ნათელი გონების წყალობით ერთობ სასარგებლოდ მოქმედებდა გიორგი განუგრავა. თბილისელები სამკუთხედებით ცდილობდნენ მოედნის შუაგულის დაძლევას და ხანდახან ეს კარგად გამოსდიოდათ.

შესვენების შემდეგ „ამერის" თამაში უფრო მიზანმიმართული გახდა და შედეგმაც არ დააყოვნა — კაიდარაშვილი კარგად გაისარჯა მარჯვენა ფლანგზე, ხოლო ბურთი „სამგურალის" საჯარიმოში სილაგავამ დააბზრიალა და ვერემჩუკმაც უნაკლო თავური მიაყოლა — 0:1.

გახელებული „სამგურალი", ცხადია, გათანაბრებას შეეცადა. მოედნის ამერული ნახევარი კარგა მაგრად ატალახდა, მაგრამ თბილისელები თავს თავდადებით იცავდნენ. წყალტუბოელებმა შეცვლებს მიმართეს, ხოლო გიორგი ჩიხრაძე ახალი ფეხბურთელების შეყვანას აყოვნებდა, ალბათ, შესაფერის მომენტს ელოდა. ამასობაში „სამგურალი" რამდენიმე მწვავე შეტევას გამორჩა. ორჯერ შეეძლო გატანა გელა ქობალიას, მაგრამ ჯერ სილაგავამ იხსნა ცარიელი კარი, შემდეგ ქობალიამ ახლოდან, თავურით ვერ გაასწორა მიზანი. არც „ამერი" იყო შეტევაში უსაქმოდ — ერთ-ერთი კონტრიერიშისას მამუკა რუსიას ოთარ ბობოხიძემ აუღო ძნელი ბურთი. „ამერის" კიდევ ერთი კონტრშეტევა კი იმით დასრულდა, რომ კაიდარაშვილმა ჯარიმა მოინადირა და განუგრავამ ოციოდე მეტრიდან მოჭრილი დარტყმით გაიტანა.

საქართველოს ჩემპიონატი / მეორე წრე / 15 / 25 ტური
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

წყალტუბო. 30 აპრილი. 16 საათი. 26 მაისი. 150. (ტევადობა 10 000)

### სამგურალი 0:2 ამერი

0:1 ვერემჩუკი (5), 0:2 განუგრავა (87)

**სამგურალი:** ბობოხიძე, ფრანგიშვილი, ჩელიძე, მაღლაკელიძე (ქობულია 58), ბარბაძე, ჩხეტიანი, დარსაძე, ჯანაშია, ჯინჭარაძე (ღვინჯილია 67), კიკვიძე (ღონღაძე 75), ქურციკიძე
**მწვრთნელი:** გია გიგატაძე

**ამერი:** ასლანაძე, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ხუბუა, განუგრავა (შონია 88), გარუჩავა, ვერემჩუკი, სილაგავა, რუსია (წინამძღვრიშვილი 84), კაიდარაშვილი (გოცირიძე 90)
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გაფრთხილება:** კედელაშვილი (10), განუგრავა (77), ხვადაგიანი (83)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; ი. აფციაური, ზ. ჯვარიძე; კ. მესხი



ისეთი თამაში იყო, წვიმამაც ვერ გააწყალა

**გურია 2:0 ივერია**

**მეტალურგი 0:2 ჩიხურა**

**მილანი 2:0 რუსთავი**

**ოლიმპი 1:5 თსუ**

**დინამო 2 1:0 ცხინვალი**

**ვიტ ჯორჯია მცხ. 0:1 ქობულეთი**

**ლუკა 6:1 ლოკომოტივი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 25 | 16 | 2 | 7 | 45:23 | 50 |
| სამგურალი | 25 | 14 | 6 | 5 | 33:16 | 48 |
| რუსთავი | 25 | 14 | 3 | 8 | 36:26 | 45 |
| დინამო 2 | 24 | 13 | 4 | 7 | 64:29 | 43 |
| გურია | 25 | 12 | 4 | 9 | 33:30 | 40 |
| ამერი | 25 | 11 | 7 | 7 | 31:20 | 40 |
| ჩიხურა | 25 | 12 | 3 | 10 | 32:24 | 39 |
| მილანი | 25 | 11 | 6 | 8 | 27:22 | 39 |
| ოლიმპი | 25 | 11 | 6 | 8 | 32:29 | 39 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 25 | 10 | 8 | 7 | 28:17 | 38 |
| თსუ | 25 | 10 | 7 | 8 | 43:27 | 37 |
| ცხინვალი | 25 | 10 | 6 | 9 | 34:21 | 36 |
| ივერია | 24 | 8 | 5 | 11 | 18:35 | 29 |
| ლოკომოტივი 2 | 25 | 6 | 1 | 18 | 17:59 | 19 |
| ლუკა | 25 | 5 | 1 | 19 | 24:59 | 16 |
| მეტალურგი | 25 | 1 | 1 | 23 | 12:71 | 4 |

### ინგლისი
I დივიზიონი. XLV ტური
შეფილდ იუნ. 1:1 იფსვიჩი

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა
XXXI ტური
ალემანია 2:1 ოსნაბრიუკი
ლიუბეკი 1:4 მაინცი
ტრირი 3:0 ალენი
სამხრეთ რეგიონალლიგა
XXIX ტური
ელვერსბერგი 0:0 ზიგენი
ჰოფენჰაიმი 1:0 აალენი
შტუტგარტი (მ) 2:0 შვაინფურტი
ოფენბახი 1:0 კაიზერსლაუტერნი (მ)
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXIX ტური
ბრაუნშვაიგი 2:1 ვერდერი (მ)

### იტალია
სერია B. XL ტური
ატალანტა 3:2 ვიჩენცა

### საფრანგეთი
I დივიზიონი. XXXIV ტური
ნიცა 1:2 მონაკო

### ირლანდია
პრემიერლიგა. IX ტური
ბოჰემიანსი 2:3 კორკ სიტი
დროჰედა 0:1 ლონგფორდი
შემროკი 0:0 დუბლინი
შელბურნი 2:0 სენტ პატრიკსი

### პორტუგალია
სუპერლიგა. XXXIII ტური
რიუ ავე 1:0 პორტუ

### თურქეთი
სუპერლიგა. XXXII ტური
ადანა 1:0 ბეშიქთაში

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა. XXVIII ტური
ვინტერთური 5:1 ლუცერნი

### ავსტრია
I დივიზიონი. XXXII ტური
უნტერზიბენბრიუნი 1:2 რიდი
ლინცერი 2:0 ბლაიბერგი
ლეობენი 1:1 ტიროლი
ვიორგლი 3:4 კაპფენბერგი

### ბელგია
იუპილერლიგა. XXXII ტური
ბეერსხოტი 2:1 ლოკერენი

## სხივები მოსკოვიდან

**ᲓᲦᲔᲡ** ვლადიკავკაზის „ალანია" კრასნოდარში „კუბანს" სტუმრობს. ამ მატჩში ვერც ერთი ალანიელი ქართველი ვერ ითამაშებს. ლევან გვაზავაც და ვიტალი დარასელიაც მოსკოვში სამკურნალოდ იმყოფებიან. თითქოს მომჯობინებულ დარასელიას ტერფის ტრავმა გაუმიზეზდა და რუსეთის დედაქალაქში დარჩენამ მოუწია. არადა, ვარაუდობენ, რომ ვიტალის „კუბანთან" უნდა ეთამაშა.

„მეც და ვიტალისაც სხივური თერაპიის ათდღიანი კურსი დაგვინიშნეს. ამის შემდეგ ვლადიკავკაზში დავბრუნდებით და ინდივიდუალური გეგმით განვაგრძობთ აღდგენით ვარჯიშებს. დარასელია, ალბათ, ჩემზე ადრე შეურთდება ძირითად გუნდს, მე კი თავად მაისის შუა რიცხვებში ნელ-ნელა, მსუბუქი დატვირთვებით განვაახლებ ვარჯიშს" — გვითხრა ლევან გვაზავამ.

**დავით ერაძე**



## ყაზახური ექსპერიმენტი: სერგეი

**ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲡ** ნაკრებს მწვრთნელი რომ შეეცვალა, გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ. აზერბაიჯანთან ამხანაგურ მატჩში 2:3 წაგების მერე მოხსნილი ლეონიდ პახომოვის ნაცვლად გუნდს 38 წლის სერგეი ტიმოფეევი უთავკაცებს.

ტიმოფეევი ბოლოს იმ „ეკიბასტუზეცს" წვრთნიდა, სადაც ჩვენებური ზურაბ არჩვაძე თამაშობს. ეს იყო მისი სადებიუტო სამწვრთნელო სეზონი და ამის გათვალისწინებით ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება მოულოდნელი ჩანს — ნაკრები გამოუცდელ კაცს ჩააბარა.

ტიმოფეევმა ფეხბურთელის კარიერა შარშან პავლოდარის „ირტიშში" დაასრულა, სადაც ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი — 2002 და 2003 წლებში. მანამდე კი რუსეთში თამაშობდა. პავლოდარის „ტრაქტორი", ალმათის „ყაირათი", ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანია", მოსკოვის „დინამო", ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივი" და სარატოვის „სოკოლი" — აი, ეს გუნდები მოიარა ტიმოფეევმა „ირტიშამდე". „სპარტაკ-ალანიაში" თამაშისას კი რუსეთის ჩემპიონიც გახდა. გეხსომებათ, მაშინ ვლადიკავკაზურ კლუბში ბლომად ქართველებიც ბურთაობდნენ.

**კახა შალამბერიძე**

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი მეორე ლიგა ეტაპი 7 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# დინამო: ყბადაღებული თუ ყბა დაღებული?

რაც უფრო ცოტა რჩება ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე, მით მეტი კითხვა ჩნდება. ვინ გახდება ჩემპიონი? ვინ გავა უეფას თასზე? ვინ გავარდება უმაღლესი ლიგიდან? ვის გაუხდება საქმე საპლეიოფოდ?... ჯერ კი ცოტა ადრეა საიმისოდ, რომ აქედან რომელიმე დღეს და საბოლოოდ გაირკვეს, თუმცა რაღაც კონტურები რომ უნდა გამოჩნდეს, ცხადია.

მე-7 ტურში ორი მძიმე მატჩია: „დინამო“ — „სიონი“ და „ვიტ ჯორჯია“ — „თბილისი“. ნაკლები ინტრიგა-ინტერესისა არც საქვეექვსეული „მცხეთა“ — „სპარტაკია“ — აქ საქმე გავარდნა-დარჩენაზეა. თუმც, ცხადია, თვალი უფრო „ეროვნულისკენ“ გაგვირბის. ყბადაღებული „დინამო“ ჩემპიონატის ლიდერ „სიონის“ წინააღმდეგ. როგორი იქნება გია გეგუჩაძის ოფიციალური დებიუტი „დინამოში“, ძნელი სათქმელია. ბოლნისელებმა უკვე არაერთხელ დაამტკიცეს საკუთარი ძალა და ქვეყნის 11-გზის ჩემპიონსაც გვარიანად აუწეწეს საქმეები. „დინამო“ კი დუმს — გუნდში ინტერვიუების მიცემა აიკრძალა და სათქმელს დღეს, „ეროვნულზე“ იტყვის. საქმე ისაა, რას ათქმევინებს მეტოქეს „სიონი“...

## დინამო თბილისი — სიონი ბოლნისი



### სავარაუდო შემადგენლობა (დინამო)

21 კვალაძე, 20 იაშვილი, 18 მელქაძე, 10 ანჩაბაძე, 6 კვირკველია, 8 ბურდული, 27 ნემსაძე, 3 კანდელაკი, 14 სილაგაძე, 5 შაშიაშვილი, 1 ზოიძე

### სავარაუდო შემადგენლობა (სიონი)

20 გონჩაროვი, 13 გაბისკირია, 26 რ. ონიანი, 16 ალადაშვილი, 7 სიჭინავა, 5 ბაქრაძე, 2 გილაური, 15 უგრეხელიძე, 3 ბურნაძე, 8 ჭიჭვეიშვილი, 1 ვოლკოვი



მწვრთნელი გია გეგუჩაძე

ბოდიშს გიხდით, მაგრამ „სიონთან“ მატჩზე ვერაფერს გეტყვით. კლუბში ინტერვიუების მიცემა აკრძალულია. ძალიან გთხოვთ, ამას უყურადღებობაში ნუ ჩამომართმევთ.



მსაჯი: სერგო კვარაცხელია

ეროვნული 1 მაისი 18 საათი

ძნელია „დინამოსთან“ რამე დაგეგმო, მაგრამ ბოლომდე კი ვიბრძოლებთ.

„დინამოში“ მწვრთნელის ცვლილება ჩვენთვის ხელსაყრელია, თუმცა ესეცაა, ახალ მწვრთნელს ალბათ, ესმის ამ მატჩის მნიშვნელობა.



მწვრთნელი თემურ მახარაძე

თბილისი. 1 მაისი. 18 საათი. შევარდენი

## ვიტ ჯორჯია — თბილისი

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

*„დინამო“ — „სიონი“ რომ არა, მე-7 ტურის მთავარ მატჩად უეჭველად „ვიტ ჯორჯია“ — „თბილისს“ დავასახელებდით. ეს ორი ამბიციური და ახალგაზრდული გუნდი ქართული ფეხბურთის მარაქაში ხომ თამამად გაერია. მონინაალმდეგეებმაც, თითქოს პირი შეკრესო, მატჩს „ექვსქულიანი“ დაარქვეს, და ძნელია ამაში არ დავეთანხმოთ. და კიდევ, მატჩამდელი შელაპარაკება უკვე შედგა: „თბილისმა“ ვეტერინარებს „ისანზე“ თამაში შესთავაზა, რაზეც ცივი უარი მიიღო.*

*ახლა კი გუნდების მწვრთნელებს მოვუსმინოთ...*



*მერაბ კოჭლაშვილი:* ამ ტურში ორი გადამწყვეტი თამაშია. „ვიტ ჯორჯია“ — „თბილისი“ და „დინამო“ — „სიონი“. ბევრი რამე სწორედ ამ მატჩებში გაირკვევა. ბოლნისში დამარცხება უკვე დავივიწყეთ. ბიჭებს ვესაუბრე და ჩავთვალეთ, რომ შემთხვევით წავაგეთ. ახლა მთავარია „თბილისს“ მოვუგოთ და მერე გზაც გამოჩნდება.

— ვინმეს ხომ არ მოისაკლისებთ?

— საბედნიეროდ, ყველა ჯანმრთელადაა და დისკვალიფიცირებულიც არავინ გვყავს. ეგაა, ამინდი არ გვიწყობს ხელს.

— და ვის უფრო შეუშლის წვიმა?

— ალბათ ორივეს. არა მგონია, „თბილისს“ წვიმაში თამაში სიამოვნებდეს. თუმცა ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. ვიცით, რომ ხვალინდელი თამაში ექვს ქულაზეა და წაფორხილების უფლება არ გვაქვს. უნდა მოვიგოთ. თან მე ხომ პროგნოზი არ მეშლება ხოლმე. ასე რომ, ვნახოთ...



*გიორგი დევდარიანი:* გუნდში ყველა ჯანზეა და სათამაშოდ მზად ვართ. ორი დღეა, ბიჭები სასტუმრო „აჭარაში“ შევკრიბე. ყველას ვატყობ, რომ უკან დახევას არ აპირებენ და ეს ძალიან მახარებს. „ვიტ ჯორჯია“ — „თბილისის“ შედეგზე ბევრი რამაა დამოკიდებული. წაგებული გუნდი შესაძლოა, ევროთასების მიღმა დარჩეს. ასე რომ, მოსაგებად არაფერს დავიშურებთ. თან ეს პრინციპის საქმეცაა...

— ეგ რას ნიშნავს?

— „ვიტ ჯორჯიას“ ვთხოვეთ, „ისანზე“ გვეთამაშა. კარგი მინდორია და თამაშიც უფრო საინტერესო იქნებოდა, მაგრამ კლუბისგანაც და პროფლიგისგანაც უარი მივიღეთ. სამწუხაროა, ასე რომ მოხდა. არადა, „ისანზე“ რომ გვეთამაშა, ფეხბურთიც შედარებით ხარისხიანი და სწრაფი იქნებოდა. არა უშავს, ახლა მეტი ჟინით ვესტუმრებით „ვიტ ჯორჯიას“.



„ვიტ ჯორჯია“ — „თბილისი“: ვისთვის დატრიალდება ბურთი წაღმა?

თბილისი. 2 მაისი. 18 საათი. ლოკომოტივი

## მცხეთა — სპარტაკი

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ჭელიძე

**დისკვალიფიცირებულნი:** ჯაფარიძე (მცხეთა), ჯანგიძე (სპარტაკი)

**ინტრიგაზე** თუ მიდგა საქმე, „მცხეთა“ — „სპარტაკი“ ტურის არც ერთ სხვა მატჩს არ ჩამოუვარდება. მეტიც, „სპარტაკისთვის“ ხვალ წაგება შესაძლოა, საბედისწერო გამოდგეს. ოდნავ უკეთეს ყოფაშია ჯანო ფოფხაძის გუნდი — მცხეთელები ალბათ ფრითაც კმაყოფილები იქნება, თუმცა ესაც შედარებითი ამბავია. ამ გუნდს ხომ კარგი შანსი აქვს, უმაღლეს ლიგაში გადათამაშების გარეშე დარჩეს და თუ თბილისელებთან ქულები დაკარგა, ეს შანსი ერთობ უმცირდება.



მურთაზ ხურცილავას ბიჭები კი მშვენიერ ხასიათზე არიან — წინა ტურში ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი „ბათუმი“ ბოლო წამზე კობა შალამბერიძის გასროლით დაამარცხეს და „ბათუმის“ გარდა „კოლხეთს“ და იმავ „მცხეთას“ შეუღრინეს. ეგაა, „სპარტაკს“ ზღვისპირელებთან მატჩში გაფრთხილებული ლაშა ჯანგიძე დააკლდება დისკვალიფიკაციის გამო, რაც უმნიშვნელო დანაკლისი არ არის. თუმც მსგავს სიტუაციაშია მცხეთაც — მცველი თემურ ჯაფარიძე ვერ დაეხმარება.

| I-VI ადგილები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:3 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 5:2 | 31 |
| დინამო | 6 | 1 | 3 | 2 | 9:6 | 31 |
| თბილისი | 6 | 3 | 3 | 0 | 11:4 | 30 |
| ლოკომოტივი | 6 | 0 | 3 | 3 | 1:7 | 20 |
| დილა | 6 | 0 | 2 | 4 | 0:14 | 19 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 6 | 4 | 1 | 1 | 13:6 | 30 |
| ბათუმი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:8 | 22 |
| მცხეთა | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 21 |
| კოლხეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 21 |
| სპარტაკი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 18 |
| მერცხალი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:11 | 6 |

თბილისი. 1 მაისი. 18 საათი. ლოკომოტივი

## ლოკომოტივი — დილა

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

ფოთი. 1 მაისი. 18 საათი. ფაზისი

## კოლხეთი — მერცხალი

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; გ. ვადაჭკორია (ორივე თბილისი), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა

**დისკვალიფიცირებულნი:** აკობია, წურწუმია (ორივე კოლხეთი)

ბათუმი. 1 მაისი. 18 საათი. დინამო

## ბათუმი — ტორპედო

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ზ. ანიაშვილი (გორი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**დისკვალიფიცირებული:** გუშარაშვილი (ბათუმი)

# ერთწლიანი ისტორია
## ექსკურსიები უმაღლეს ლიგაში

*ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ოზურგეთის „მერცხალს“ უმაღლესში დარჩენის თეორიული შანსიც კი არ დარჩა. უსახსრობამ კიდევ ერთი გუნდი შეიწირა. „მერცხალი“ ისეთ დღეში იყო, უმაღლესიდან მის გავარდნაზე ჯერ კიდევ შარშან ალაპარაკდნენ. ოზურგეთელებმა გაიჭირვეს, საფეხბურთო ვალი მოიხადეს და ჩემპიონატი არ მიატოვეს. „მერცხალი“ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში მეათე გუნდია, რომელიც ერთწლიანი „ექსკურსიის“ შემდეგ დაემშვიდობა უმაღლეს ლიგას.*

*ჩვენ კი გთავაზობთ მცირე ისტორიულ ექსკურსს და ვიხსენებთ ერთწლიანი უმაღლესლიგელების ამბებს*




რა დიდია ხოლმე სიხარული უმაღლესში გადასვლისას და რა მწარეა განშორება

ერთწლიანთა ისტორია სათავეს „ლიახვით“ იღებს. პოლიტიკური მოსაზრების გამო ცხინვალის „ლიახვი“ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის მარაქაში მოხვდა და პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ჩაერთო. თუმც თავად რეგიონი, ფაქტობრივად, არც ჩაბმულა ქართულ საფეხბურთო ცხოვრებაში, რადგან „ლიახვი“ საშინაო მატჩებს ნეიტრალურ მოედანზე ატარებდა, მალე კი სულაც ბუტაფორიად იქცა. „ლიახვმა“ მხოლოდ 27 საჩემპიონატო თამაშის გამართვა შეძლო, ყველაში დამარცხდა, უსახსრობის გამო დაიშალა და ასე უსახელოდ გახდა ისტორიის კუთვნილება. თუმც აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხანმოკლე არსებობის მანძილზე „ლიახვმა“ ერთი გამარჯვება მაინც ნახა, სათასო მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩში „მრეტები“ 2:1 დაამარცხა ძაგოევის და სანაკოევის გოლებით. ეს უკანასკნელიც კლუბის საუკეთესო ბომბარდირად დარჩა 3 გოლით. პირველ ეროვნულში „ლიახვთან“ ერთად დებულებით ოჩამჩირის „ამირანიც“ უნდა გავარდნილიყო, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებების გამო სფფ-ის მესვეურებმა ეს გუნდი მაინც დატოვეს უმაღლესში და ასეთი შეღავათი ორი წლის შემდეგაც გაუკეთეს ზღვისპირელებს.

„ლიახვის“ შემდეგ უმაღლეს ლიგას პირველსავე სეზონში ერთბაშად ორი გუნდი დაემშვიდობა: ქობულეთის „შუქურა“ და ჭიათურის „მაღაროელი“. ესენი ვერც აღზევდებოდნენ, უმაღლესში მონაწილე გუნდების რაოდენობა 22-მდე რომ არ გაეზარდათ. შევნიშნოთ, რომ ეს რაოდენობა დღემდე სარეკორდოა უმაღლესი ლიგისთვის. ასე მოვიდნენ „შუქურა“ და „მაღაროელი“, თუმც დებიუტანტებმა ვერაფრით მოიკიდეს ფეხი და სეზონის ბოლოს წყვილად გავარდნენ. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „მაღაროელმა“ ასეთ „მიღწევას“ კიდევ ერთხელ გამოჰკრა ხელი, როცა 1997-98 წლების სეზონში უმაღლესში კიდევ ერთხელ დაბრუნებული სეზონის ბოლოს ისევ ქვედალიგელად იქცა. მანამდე კი სენაკის „ეგრისი“ შეეცადა უმაღლესი საფეხბურთო ისტორიის შექმნას, თუმც ისიც გაწბილებული დარჩა, არადა, სენაკელებს მაშინ სიმპათიური გუნდი ჰყავდათ, სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ არ გაუმართლათ და ბოლო ტურებში გადაწყდა მათი გავარდნა.

ამის შემდეგ დებიუტანტები ერთხანს აზერხებდნენ უმაღლესში ფეხის მოკიდებას, თუმც საუკუნის ბოლოს რჩეულთა შორის წყვილად აღზევებული „თბილისი“ და „ხობი“ წყვილადვე გავარდნენ. 1999 წლის გაზაფხულზე ორივემ პლეი ოფში მოიპოვა უმაღლესი ლიგის საგზური. ხობელებმა „ლოკომოტივზე“ ვანის „სულორი“ დაამარცხეს, „თბილისმა“ „ლარწყალს“ მოუგო, თუმც დებულებით მაინც არ ეკუთვნოდა უმაღლესში ასვლა, რაკილა ეს გუნდი, ფაქტობრივად, „დინამოს“ ფარმკლუბი, „დინამო 2“ იყო და მერელა გადაკვალიფიცირდა „თბილისად“, თუმც, როგორც ვთქვით, „თბილისმა“ უმაღლეს ლიგაში ადგილი მაინც ვერ შეინარჩუნა, „ხობმა“ კი უსახსრობის გამო წვალებით გაძლო სეზონის ბოლომდე.

ერთწლიანთა წყვილად გავარდნა ამის შემდეგაც გაგრძელდა. 2001 წელს უმაღლესში აღზევებულმა „სამგურალმა“ და „გურიამ“ 12-გუნდიან ჩემპიონატის კონკურენციას ვერ გაუძლეს. მაშინდელი წარუმატებლობა განსაკუთრებით ძვირად დაუჯდათ ლანჩხუთელებს. ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი სახელიანი წარმომადგენელი „გურია“ მას შემდეგ ამაოდ ცდილობს უმაღლესში ადგილის დაბრუნებას. არ ამოუყვინთავს „სამგურალსაც“, თუმც წლეულს აქვს კარგი შანსი მიზნის მისაღწევად, რაკილა ჩემპიონატის დამთავრებამდე ექვსი ტურით ადრე ერთპიროვნულად ლიდერობს პირველ ლიგაში.

ერთწლიან გუნდად იქცა ქიზიყური „მილანიც“. წნორელებმა, ადრე „ლარწყალის“ სახელით რომ თამაშობდნენ, სამი წელი იწვალეს უმაღლესში ასასვლელად და ბოლოს ნანატრი აიხდინეს, თუმც ქიზიყელთა შეძლება უმაღლესის მოთხოვნებს ვერ გასწვდა და „მილანი“ ერთ სეზონში ისევ პირველლიგელად იქცა.

და „მერცხალი“... უმაღლესში დაბრუნება შარშან დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს გურულებმა. იყო ტრადიციული ბანკეტი, ქალაქის ხელმძღვანელთა იმედიანი სიტყვა, დაპირება, ბოლოს კი ყველაფერი საპნის ბუშტივით გაქრა და „მერცხალი“ ყველასგან მიტოვებული აღმოჩნდა. ენთუზიასტი ფეხბურთელები საშუასეზონო სამზადისისას წყლისგან და ყინვისგან შეჭმულ მოედანს თოვლს აყრიდნენ, ფეხი რომ მოეკიდებინათ და ევარჯიშათ. ასეთ ვითარებაშიც კი არ მიატოვა „მერცხალმა“ ჩემპიონატი.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ ერთწლიანთა ისტორია შესაძლოა, ამ სეზონში „მერცხალით“ არ დასრულდეს. დებიუტანტები არიან „მცხეთა“ და თბილისის „სპარტაკი“, რომელმაც შარშან ზუგდიდური „ლაზიკასგან“ იყიდა უმაღლესის საგზური და ამ ორს დარჩენილ ოთხ ტურში დიდი ოფლის ღვრა ელის უმაღლესში ადგილის შესანარჩუნებლად.

**პაატა ძვანტალიანი**

| | გადავიდა | გავარდა | მატჩი | მოგება | ფრე | წაგება | სულ * |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლიახვი | 1990 | 1990 | 27 | 0 | 0 | 34 | 1 |
| შუქურა | 1993/94 | 1994 | 30 | 13 | 3 | 14 | 1 |
| მაღაროელი | 1994/95 | 1994 | 36 | 11 | 6 | 19 | 2 |
| | 1997/98 | 1998 | 30 | 7 | 5 | 18 | |
| ეგრისი | 1995/96 | 1996 | 30 | 5 | 2 | 23 | 1 |
| თბილისი | 1999/00 | 2000 | 28 | 6 | 5 | 17 | 1 |
| ხობი | 1999/00 | 2000 | 28 | 3 | 4 | 21 | 4 |
| სამგურალი | 2000/01 | 2001 | 32 | 8 | 6 | 18 | 11 |
| გურია | 2001/02 | 2001 | 32 | 3 | 6 | 23 | 11 |
| მილანი | 2002/03 | 2003 | 32 | 6 | 8 | 18 | 1 |
| მერცხალი | 2003/04 | 2004 | ? | ? | ? | ? | 4 |

** უმაღლეს ლიგაში გატარებული სეზონების რაოდენობა*

*ერთიც და, ჯონი კალანდაძე საიუბილეო, მე-200 მატჩს ითამაშებს უმაღლეს ლიგაში. ბევრისთვის უცნობი 34 წლის ტანმორჩილი ნახევარმცველი მართლაც გამორჩეული ფიგურაა ჩვენს ჩემპიონატში. კალანდაძე ის კაცია, ვინც პირველივე ეროვნული ჩემპიონატიდანაა ქართულ ფეხბურთში და დღემდე უმაღლესში გატანილი 47 გოლი დაჰგროვებია.*

*21 წლის ოზურგეთელი ბიჭი ჩემპიონატის გარიჟრაჟზე „მერცხალში“ იყო. შემდეგ „ეგრისშიც“ თამაშობდა, რომელიც სადებიუტო სეზონშივე გამოეთხოვა უმაღლესს, კალანდაძეს უმაღლესიდანვე გავარდნილ „ქობულეთშიც“ უბურთავია და მეთხუთმეტე ეროვნულის პირველ ეტაპზე იმ „მერცხალში“ იყო, რომელიც მომავალი სეზონიდან პირველლიგელი იქნება*

## სევდიანი კაცი ჯონი, ორასიც!

— ფეხბურთში უმეტესწილად არ მიმართლებდა და ძირითადად აუტსაიდერ გუნდებში მიხდებოდა ყოფნა. დიდი მიზნები მქონდა, მაგრამ ომიანობამ გზა-კვალი ამირია, თუმც უფეხბურთოდ ვერ გავძელი. ჩემი კარიერა მე რომ მინდოდა, ისე ველარ აეწყო.

— იმ გუნდებიდან, ვინც უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა, ყველაზე მეტად რომელზე დაგწყდა გული?

— ოზურგეთის „მერცხალზე“. ჩემს მშობლიურ გუნდზე, რომელიც მართლაც არ იმსახურებდა ასეთ გულგრილ მოპყრობას. ფეხბურთელები ენთუზიაზმით ვთამაშობდით. შარშან ბევრი გაჭირვება შეგვხვდა, მაგრამ ჩემპიონატი არ მივატოვეთ. „მერცხალში“ ჩემს დარჩენას აზრი არ ჰქონდა და მეორე ეტაპის წინ „კოლხეთში“ გადავედი.

— კოლხებსაც გავარდნის საშიშროება ემუქრებათ...

— არა, არ გავვარდებით. „კოლხეთიც“ თუ გავარდა და, მართლა უიღბლო ვყოფილვარ.

— ყველაზე ნაყოფიერი რომელი სეზონი იყო შენთვის?

— ზუგდიდის „ოდიშში“ რომ ვთამაშობდი. 1997-98 წლების ჩემპიონატში 18 გოლი გავიტანე და მეხუთე ადგილზე გავედით. მაშინ გუნდს მურთაზ ხურცილავა წვრთნიდა. მეტის მიღწევაც შეგვეძლო. იმავე სეზონში ვითამაშე ჩემთვის დაუვიწყარი მატჩი, 4:0 მოვუგეთ „ტორპედოს“ და ლამაზი გოლი გავიტანე.

— იცი, რომ ერთი თამაშიც და, 200 მატჩი მოგიგროვდება უმაღლეს ლიგაში?

— არ ვიცი, არ დამითვლია. ჩემთვის ფეხბურთი საყვარელი თამაშია და მის გარდა არაფერს ვაქცევ ყურადღებას. მინდა, ერთიორი სეზონი კიდევ ვითამაშო. ვიცი, ერთ დღეს ფეხბურთთან დამშვიდობება მომიწევს და ჩემთვის ძალიან მძიმეა ამაზე ფიქრი, უფეხბუროდ ძალიან გამიჭირდება.

**პაატა ძვანტალიანი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივო და არა ივო



**ამ კვირაში** „დინამოს“ მწვრთნელობიდან დაითხოვეს ივო შუშაკი. დილმის ბაზაზე კლუბის პატრონი, ბადრი პატარკაციშვილი მივიდა და საქმეც იქ განრიგდა. ხორვატს მიჰყვა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ალეკო გოგობერიშვილი, ახალდანიშნულმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ კი თქვა, გუნდში ლადო ახალაიას ადგილს ვერ ვხედავო. რა თქმა უნდა, დაითხოვეს სპორტული დირექტორი გივი ნოდიაც.

ამას ისიც უნდა მოჰყვეს, რომ „დინამოს“ შემადგენლობაში გვარიანი ცვლილებები გაგრძელდება. საკვირველი ამ ამბავში იყო შუშაკის ასეთ დროს გადაყენება — დღეს „დინამო“ „სიონს“ ეთამაშება. თორემ ის, რომ „დინამოს“ უფროსობას ხორვატი არ უნდა, ჟურნალისტებს მთელ წელიწადს ესმოდათ. ჩანს, კლუბის უფროსობამ ივოს გადასაყენებლად სწორედ ეს დრო მიიჩნია ყველაზე ხელსაყრელად.

შუშაკის ყველაზე დიდი წარუმატებლობა „დინამოში“ „ტირანასთან“ წაგება იყო, სხვაფრივ კი მან ყველა ქართული ტიტული მოიგო და ამ ზამთარს ესენგეს თასიც ჩამოიტანა. შუშაკს კრიტიკოსებიც ჰყავდა, ერთგული მეგობრებიც და თაყვანისმცემლებიც.

გახარებით კი, მისი გადაყენება ბევრს არავის გახარებია. არ არის ისეთი მწვრთნელი და, მით უმეტეს, არც კაცი, რომ მისი ამგვარად წასვლა გაგიხარდეს — როგორც იქნა, თავიდან მოვიშორეთო. ივოს ნამდვილი და ხმამაღალი მადლობაც ერგებოდა. თუ „დინამოსგან“ არა, ხალხისგან მაინც — ერთი წლის წინ მან თბილისს საოცარი ღამე აჩუქა ნაკრების ფეხბურთელებთან ერთად.

საერთოდ, ქართული კლუბებისგან „დინამო თბილისი“ არა მხოლოდ სახელით, ტიტულებით, ფულით და დიდი ისტორიით გამოირჩევა. ყველამ იცის, რომ სახელი „დინამო“ ჩვენი კულტურის და ისტორიის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ იმავდროულად „დინამო თბილისი“ ყველაზე რთული, მძიმე და ძნელად ამოსახსნელი საფეხბურთო დაწესებულებაა. ამის მაგალითი ამ კვირის ამბავიცაა — დანამდვილებით ვერავინ იტყვის, თუ რატომ მოხდა ის, რაც მოხდა, რაში დაეხმარება ეს მკვეთრი გადაწყვეტილება „დინამოს“ სეზონის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე, რას ფიქრობენ მესვეურები გუნდის მომავალზე, რა გამოუთვლიათ და ა.შ.

ამ დროს კი, სირთულე, წყალქვეშა დინებები, მრავალსვლიანი და მრავალთვიანი ადმინისტრაციული და საკაბინეტო ამბები არც ერთი ქართული გუნდისთვის არ არის დამახასიათებელი. ეს შეიძლება მათი „დინამოსთან“ შედარებით სიღარიბის ბრალი იყოს, მაგრამ არც ევროპის თუნდაც ყველაზე წამყვან გუნდებშია ისე, რომ კლუბის ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო სწორედ უფროსობის საქმეები და ნაბიჯები იყოს. თვით „ჩელსიშიც“ კი, სადაც მთელი წელიწადია დატანჯეს მწვრთნელი კლაუდიო რანიერი, უნდა გაგიშვათ, უნდა გაგიშვათო, ამ ამბავს ანუ აბრამოვიჩის ფიგურას „ჩელსის“ ფეხბურთი არ დაუჩრდილავს. „დინამოს“ ფეხბურთი ივოს ხელში იყო კარგად ორგანიზებული, საქართველოს პირობაზე გამართული და ეგებ ნაკლებთვალსასეირო, თუმცა „დინამო“ ეგრეც ვერ ჩამოყალიბდა საქართველოს სუპერგუნდად, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს შუშაკს დაბრალდეს. საერთოდ, კლუბს არ სჭირდება სირთულე. კლუბს გამოკვეთილი ამოცანები სჭირდება.

„დინამოს“ ამბავიც ეს არის.

ივო კი ნახავს თავის გზას. ეგებ, საქართველოშიც. მისი გადაყენება მეტი პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავს. ჩანს, „დინამოს“ უფროსობა მზადაა ამ პასუხისმგებლობისთვის. სხვანაირად, ამ მკვეთრი ნაბიჯების აზრი ამოუცნობი დარჩება.

**ირაკლი გამყრელიძე**



# კარლოსი: შუშაკოვამ ჩემპიონობის შანსი შეგვიმცირა

## დინამო და და როჩა: ბიჭი თუ გოგო ცხრა თვეში

*ითამაშებს თუ არა დინამოელთა ბრაზილიელი კარლოს და როჩა დღეს „სიონთან“, მატჩის წინ გადაწყდება. ის მთავარ გუნდთან ერთად ემზადება და კარგად ესმის ამ უპრინციპულესი მატჩის მნიშვნელობა*



— „სიონთან“ მატჩი ყველანაირად უმნიშვნელოვანესია. კლუბში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად, ვფიქრობ, ჩვენს გუნდს საჩემპიონო შანსები ჯერაც არ დაუკარგავს. ამისათვის კი „სიონის“ დამარცხება გვჭირდება. თავიდან ბოლომდე აგრესიულად უნდა ვითამაშოთ. მომენტებიც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. გუნდში ყველა მოგებაზე ფიქრობს.

— „სიონთან“ პირველი წრის მატჩი წააგეთ...

— ესეც ერთ-ერთი სტიმული იქნება საიმისოდ, რათა ყველას დავუმტკიცოთ, რომ ბოლნისში შემთხვევით წავაგეთ. თუმცა, ისე არ გამიგოთ, თითქოს მეტოქეს არ ვაფასებდე. ძალიან ძლიერი გუნდია და ვფიქრობ, შემთხვევით არაა ცხრილის სათავეში. მატჩი რომ დაძაბული იქნება, უდავოა. მთავარია, მაყურებელიც მრავლად მოვიდეს.

— „დინამო“ „სიონთან“ მატჩს დიდი დანაკლისითაც ხვდება. ეს არ შეგიშლით ხელს წარმატებაში?

— დანაკლისი მართლაც დიდია. ფეხბურთელი იმისაა, რომ ყველანაირი მოულოდნელობისთვის მზად იყოს. გუნდში ახალი მწვრთნელია და მას თავისი შეხედულება აქვს. რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი. ორ წელიწადზე მეტი ერთი შემადგენლობით თამაშობ, ფეხბურთელები ერთმანეთს ეჩვევიან და... განსაკუთრებით გოგობერიშვილის წასვლა დაგვეტყობა.

— ამით შენს თანამემამულე რომეროს მიეცემა შანსი...

— რომეროს მართლაც მეტი შანსი ექნება, ძირითადში ადგილი დაიმკვიდროს. თანაც გეგუჩაძემაც თქვა, რომ მისი თამაშის სტილი და მანერა მოსწონს. ისიც შეეცდება, მწვრთნელს თავი მოაწონოს და თავისი შესაძლებლობები დაუმტკიცოს.

— შუშაკის გაშვების მიზეზი „დინამოს“ ბოლოდროინდელი წარუმატებელი თამაში იყო, ფეხბურთელები არ გრძნობთ საკუთარ დანაშაულს?

— ბუნებრივია, ჩვენც ბევრი დავაშავეთ. იყო თამაშები, რომლებიც წავაგეთ, არადა, მოგებაც შეგვეძლო. დიდი უპირატესობის მიუხედავად, მოგებას ვერ ვახერხებდით. ამაში ბრალი ყველას მიგვიძღვის, მათ შორის ფეხბურთელებსაც. შუშაკს კი ყველა ემადლიერება, მან „დინამო“ გუნდად ჩამოაყალიბა და სწორი ფეხბურთის თამაში გვასწავლა. შუშაკმა იცოდა, რა ეკეთებინა, ამა თუ იმ მომენტში როგორი ფეხბურთი გვეთამაშა. ვფიქრობ, „დინამოს“ საჩემპიონო შანსები პირველ რიგში სწორედ მწვრთნელის გაშვების გამო შეუმცირდა, ვინაიდან თავად გუნდისთვისაა რთული, მწვრთნელს სეზონის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე რომ შეცვლიან.

— „დინამოში“ ნათლად დააფიქსირეს პოზიცია — კლუბი გაახალგაზრდავდება. როგორ ფიქრობ, სკამზე ჯდომა ხომ არ გემუქრება?

— პროფესიონალი ფეხბურთელი სკამზე ჯდომას არ უნდა ეგუებოდეს. აქ სათამაშოდ ჩამოვედი. თანაც ერთი ფაქტორიც არის: თუ კონკურენტი ჩემზე უკეთ არ ითამაშებს, მას მე, ანუ გამოცდილ ფეხბურთელს მამჯობინებენ. ახალგაზრდებს კი, როგორც წესი, აწყობილი გუნდის ძირითადში ჩაჯდომა უჭირთ. კონკურენციის წინააღმდეგი კი ნამდვილად არ ვარ, პირიქით... ამ ეტაპზე, ვფიქრობ, სათადარიგოობა არ მემუქრება.

— კონტრაქტით კიდევ რა ხანი ეკუთვნი „დინამოს“?

— ცხრა თვე. ამ დროში გუნდის შიდა სტრუქტურაც უფრო აეწყობა, სიტუაციაც დაწყნარდება და ამის მერე გადავწყვეტ, როგორ ვიმოქმედო — დავრჩე თუ წავიდე...

**დავით ერაძე**





მარჩელო ლიპი

# ის მიდის არსად

*„იუვენტუსის“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს გუნდიდან წავა. მოულოდნელი ამბავია? არა. ამაზე კარგა ხანია ჭორაობდნენ, მაგრამ ახლა მან ოფიციალურად დაადასტურა ის, რაც აქამდე მხოლოდ ჭორი იყო*

„მივდივარ და ამიერიდან აღარავის გავწვრთნი — თქვა კაცმა, რომელმაც სწორედ ტურინში მუშაობით დაიგდო მსოფლიოში სახელი — კონტრაქტის თანახმად, ერთი წელიწადი კიდევ უნდა ვიმუშავო, მაგრამ კაპიკიც არ მინდა. გარდა ამისა, მე უკვე შევუთვალე უარი ჩემთან თანამშრომლობით დაინტერესებულ სხვა კლუბებს“.

შემდეგ ლიპიმ განვლილ პერიოდზე ილაპარაკა:

„ტურინში გატარებული ათი წლის განმავლობაში რამდენიმე ფანტასტიკურ ფეხბურთელთან მომიხდა მუშაობა. ზოგი მათგანი „იუვენტუსის“ ახალ მწვრთნელს, ეჭვი არ არის, ძალიან გაუადვილებს საქმეს, მე კი ამჯერად ზოგადად, ყველას მოვუხდი მადლობას და ამით შემოვიფარგლები“.

მაესტრომ განაცხადა, რომ მან და კლუბის ხელმძღვანელებმა გასული სეზონი და ბევრი სხვა საკითხი თავიდან ბოლომდე გააანალიზეს, რის შემდეგ ორმხრივად გადაწყვიტეს ურთიერთობის გაწყვეტა.

„კლუბმა ჩემი ბოლომდე შენახვა და დასაქმება სცადა. ტექნიკური დირექტორის როლიც კი შემომთავაზეს, მაგრამ ჯობს აქ შევწყვიტო. ვგრძნობ, რომ ჩემი და „იუვენტუსის“ მშვენიერი ისტორია დღეს უნდა დავგირგვინდეს“.

მარჩელო ლიპი ორჯერ ედგა „ბებერ ქალბატონს“ სათავეში. მისი ხელმძღვანელობით „შავ-თეთრებმა“ ხუთი სკუდეტო მოიგეს, ერთხელ მოიპოვეს ჩემპიონთა, ერთხელ იტალიის, ერთხელაც საკონტინენტთაშორისო და ერთხელაც ევროპის სუპერთასი. ამას დაამატეთ ორი იტალიის სუპერთასი და ისევ იტალიის თასი, რომელიც თეორიულად ჯერ კიდევ შეიძლება მოიგოს — „იუვე“ ფინალშია, ოღონდ „ლაციოსთან“ პირველი თამაში 0:2 აქვს წაგებული.

ვინ შეცვლის მარჩელო ლიპის ამ ზაფხულს? როგორც ბოლო დღეებში ამბობენ, „დელე ალპის“ სტრატეგოსის სკამზე ჩამოჯდომის მთავარი კანდიდატი „პარმას“ დღევანდელი ხელმძღვანელი ჩეზარე პრანდელია. მის შემდეგ განიხილება „მონაკოს“ თავკაცის, დიდიე დეშანისა და „კიევოს“ ხელმძღვანელის, ლუიჯი დელ ნერის კანდიდატურები.

და რა სამსახურს სთავაზობდნენ ლიპის? სამს ასახელებენ: „ჩელსის“, „რეალს“ და იტალიის ნაკრებს.

„მე იტალიის ნაკრების ქომაგი და იმავდროულად ჯოვანი ტრაპატონის მხარდამჭერი ვარ. იმედი მაქვს, ტრაპატონი რაც შეიძლება დიდხანს დარჩება თანამდებობაზე — დასძინა შემდეგ „იუვეს“ ჯერ კიდევ თავკაცმა — ბუნებრივია, ჩემი პროფესიის ხალხისთვის ეროვნული გუნდის სათავეში ჩადგომა ძალიან დიდი პატივია, მაგრამ გარწმუნებთ, სულაც არ შევყურებ ამ პოსტს იმ იმედით, რომ იგი მალე გათავისუფლდება. არავის ჩრდილად ქცევას და არავისთვის დისკომფორტის შექმნას არ ვაპირებ“.

**პაპუნა ძიძია**

# იტალია

პაპუნა ძიძია

## მილანი VS რომა

ხვალ. მილანი. „სან სირო“. 18.00 საათი. მსაჯი: დომენიკო მესინა

### სავარაუდო შემადგენლობები

12. დიდა
2. კაფუ, 13. ნესტა, 3. მალდინი, 19. კოსტაკურტა;
8. გატუზო, 21. პირლო, 20. ზეედორფი;
10. რუი კოშტა, 22. კაკა;
7. შევჩენკო
*სათადარიგონი:* 77. აბიატი; 4. კალაძე, 14. შიმიჩი, 24. ლაურსენი, 23. ამბროზინი, 27. სერჯინიო, 15. ტომასონი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

22. პელიცოლი;
2. პანუჩი, 5. ძებინა, 19. სამუელი, 32. კანდელა;
30. მანსინი, 11. ემერსონი, 15. დაკური, 8. ლიმა;
10. ტოტი, 18. კასანო
*სათადარიგონი:* 3. ლუპატელი; 31. დელასი, 17. ტომაზი, 21. დაგოსტინო, 27. დე როსი, 24. დელვეკიო, 34. კორვია
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

# დიდი მატჩის ორი ვარიანტი

მოკლედ ასეა: 90 წუთი რომ მიიწურება ან „მილანი“ იზეიმებს მეჩვიდმეტე სკუდეტოს ან „რომას“ ექნება ჩემპიონად გახდომის ახალი შანსი და ადრენალინი მომატებული. ამაზე გადამწყვეტი თამაში არ არსებობს — ლაპარაკია ხვალ, საქართველოს დროით საღამოს ექვს საათზე, „სან სიროზე“ დანიშნულ შეხვედრაზე, რომელშიც „მილანი“ „რომას“ მასპინძლობს.

წინა ტურში, როდესაც „რომამ“ „ემპოლი“ შთამბეჭდავად დაამარცხა, „მილანმა“ უდინეში ფრედ ითამაშა (ეს იყო სეზონში მეორე მატჩი, როდესაც „შავ-წითლებმა“ გოლი ვერ შეაგდეს) და ამ ორ გუნდს შორის სხვაობა ექვს ქულამდე დავიდა. ექვსი ქულა და წინ სამი თამაში! დღეს ასეა საქმე.

ფსიქოლოგიური ფონი კი „რომას“ უმჯობესი აქვს და აი, რატომ: ბოლო ხუთ ტურში ფაბიო კაპელოს მოთამაშეებმა ცამეტი ქულა მოინადირეს, პლუს მათ ჰყავთ საგანგებო ლიდერი, ფრანჩესკო ტოტი. ტოტიმ წინა ტურში „ემპოლის“ ორი გოლი გაუტანა და ამით თავისი სეზონური მონაგარი 20-მდე გაზარდა. ახლა, ბომბარდირის წოდებისთვის ბრძოლაში იგი მხოლოდ „მილანის“ უკრაინელ ფორვარდს, ანდრეი შევჩენკოს ჩამორჩება, მაგრამ მთელი ოინიც ის არის, რომ ტოტი მთლად ფორვარდიც არ გახლავთ.

„რომას“ პრობლემა ანტონიო კასანოა. კასანომ ტრავმის გამო ოთხშაბათს ნაკრებში ვერ ითამაშა და მაინცდამაინც არც ისაა ცნობილი, ითამაშებს თუ არა „სან სიროზე“. პლუს, იონ კარეუ დისკვალიფიცირებულია, ხოლო ვინჩენცო მონტელა დაშავებული. ერთი სიტყვით, ფაბიო კაპელოს შეტევაში მარკო დელვეკიოს ვარიანტიღა რჩება განსახილველად.

„მილანს“, მოგეხსენებათ, ბოლო დროს ალმავლობა არ აქვს. სეზონის შენაძენი კაკაც რამდენიმე თამაშია ისე ველარ ბრწყინავს. ერთი სიტყვით, უფრო მოსალოდნელია „შავ-წითლების“ მწვრთნელმა, კარლო ანჩელოტიმ არცთუ დიდი ხნის წინ „აღმოჩენილი“ ერთი თავდამსხმელი და მისი ორი დამხმარიანი ტაქტიკა გამოიყენოს. ერთ-ერთ დამხმარედ კლარენს ზეედორფსა და მანუელ რუი კოშტას შორის ამ მატჩისთვის უფრო მომზადებულს ათამაშებს.

სათადარიგოშია კახა კალაძე, თუმცა „რომასთან“ მატჩი იმდენად მნიშვნელოვანი და სამკვდრო-სასიცოცხლოა, რომ ვფიქრობთ, ანჩელოტი თამაშგადაჩვეულ კალაძეს ზედმეტადაც არ ენდობა.

სტატისტიკის თანახმად, „რომას“ „სან სიროზე“ „მილანთან“... 17 წელიწადია — გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — არ გაუმარჯვია. ამ სეზონში გუნდები სამჯერ გადაეყარნენ ერთმანეთს, ორჯერ თასზე და ერთხელ ჩემპიონატში. სამივე შეხვედრა ერთი და იმავე შედეგით, თუმცა შედეგით კი არა, ერთი და იმავე ანგარიშით, 2:1 დასრულდა. ცხადია, „მილანის“ სასარგებლოდ.

ერთი სიტყვით, ხვალ, ჩვენი დროით საღამოს რვა საათისთვის იტალიურ ზეიმს ან სულ მცირე, დიდ სიხარულს ველით. ზემოთ უკვე ვთქვით, რა იქნება ერთის ან მეორის გამარჯვების შემთხვევაში. ფრის შემთხვევაში კი „მილანს“ ბოლო ორ ტურში ერთადერთი ქულაღა ექნება მოსაპოვებელი. მოკლედ, ფრეც „მილანისაა“.

„სტადიო რენატო კური“ კი პერუჯისაა და იქ ხვალ „იუვენტუსი“ ითამაშებს. ეს ის „იუვენტუსია“, რომელსაც სეზონის ბოლოს მწვრთნელი, მარჩელო ლიპი მიუდის, თუმცა მანამდე დიდი მაესტრო ტურინელებთანაა და წინა ტურში, შინ, „ლეჩესგან“ ნაჭამი დიდი (3:4) სირცხვილის გამოსასწორებლად მოძღვრავს. თავის მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია ეს მატჩი მასპინძლებისთვისაც, რომლებმაც ქულები უნდა აკრიფონ, თორემ ვარდებიან.

„პერუჯას“ მწვრთნელს, სერსე კოზმის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა მართებს. მას დიამუტენე და დი ლორეტო ჰყავს დისკვალიფიცირებული, ხოლო „ბებერ ქალბატონს“ ისტორიაში განსაკუთრებული დრო უდგას: ზემოხსენებული სირცხვილის გამო კლუბის ხელმძღვანელებმა უპრეცედენტო რამ გააკეთეს, სხვა გუნდების მსგავსად ფეხბურთელები იმით დასაჯეს, რომ თამაშის დასრულებისთანავე საწვრთნელ ცენტრში გააქანეს ანუ შინ არ გაუშვეს.

წინა ტურში ლიპიმ მოედანზე ექსპერიმენტული შემადგენლობა გაიყვანა. თავდასხმაში ერთდროულად იყვნენ დავიდ ტრეზეგე, მარკო დი ვაიო, ფაბრიციო მიკოლი და პაველ ნედვედი. ხვალ, როგორც ამბობენ, მიმავალი მაესტრო უფრო ტრადიციულ, 4-4-2 სქემას მიუბრუნდება. ძირითადში, უფრო სწორედ სასტარტო შემადგენლობაში ტრავმის მერე პირველად დაბრუნდება ალესანდრო დელ პიერო, ხოლო შერცხვენილ მცველთა წყვილი, მარკ იულიანო და ნიკოლა ლეგროტალიე ამ დღეს ქომაგებს არ დაენახვებიან. ალესანდრო ბირინდელი დისკვალიფიცირებულია, ხოლო ალესიო ტაკინარდის, მაურო კამორანეზის და ანტონიო კონტეს ჯანმრთელობის ამბავი გასარკვევი.

მეოთხე ადგილისთვის მებრძოლნი ასეთ დღეში არიან: „ლაციო“ „რეჯინას“ მასპინძლობს (შეგახსენებთ, რომ რობერტო მანჩინის ბიჭებმა ბოლო სამ საშინაო თამაშში 10 გოლი გაიტანეს), „ინტერი“ ლეჩეში მიდის (ეს ის „ლეჩეა“, რომელმაც წინა ტურში „იუვენტუსი“ გააწკიპურტა), ხოლო „პარმა“ „ანკონას“ მასპინძლობს და დანამდვილებით იცის, რომ მოწინააღმდეგე გააფთრებულ წინააღმდეგობას არ გაუწევს, რადგან სერია A-დან კარგა ხნის გავარდნილია.




რომაელებმა ამ სეზონში „მილანთან“ სამჯერ წააგეს

### XXXII ტური

ხვალ

| | | |
|---|---|---|
| პარმა | — | ანკონა |
| ემპოლი | — | ბოლონია |
| სიენა | — | ბრეშა |
| ლეჩე | — | ინტერი |
| პერუჯა | — | იუვენტუსი |
| კიევო | — | მოდენა |
| ლაციო | — | რეჯინა |
| სამპდორია | — | უდინეზე |

### სადღეისო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 31 | 23 | 7 | 1 | 59:20 | 76 |
| რომა | 31 | 21 | 7 | 3 | 67:15 | 70 |
| იუვენტუსი | 31 | 19 | 6 | 6 | 62:40 | 63 |
| ინტერი | 31 | 15 | 8 | 8 | 54:33 | 53 |
| ლაციო | 31 | 15 | 7 | 9 | 48:34 | 52 |
| პარმა | 31 | 14 | 10 | 7 | 50:41 | 52 |
| უდინეზე | 31 | 12 | 10 | 9 | 37:34 | 46 |
| სამპდორია | 31 | 11 | 12 | 8 | 39:37 | 45 |
| ბოლონია | 31 | 10 | 8 | 13 | 43:48 | 38 |
| კიევო | 31 | 9 | 10 | 12 | 31:35 | 37 |
| ბრეშა | 31 | 7 | 13 | 11 | 47:52 | 34 |
| ლეჩე | 31 | 9 | 7 | 15 | 38:53 | 34 |
| სიენა | 31 | 7 | 10 | 14 | 37:49 | 31 |
| მოდენა | 31 | 6 | 12 | 13 | 25:39 | 30 |
| რეჯინა | 31 | 5 | 15 | 11 | 25:41 | 30 |
| ემპოლი | 31 | 6 | 9 | 16 | 21:49 | 27 |
| პერუჯა | 31 | 3 | 14 | 14 | 39:55 | 23 |
| ანკონა | 31 | 1 | 7 | 23 | 18:65 | 10 |

# ანეკ-ტოტი

*„რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი მთელი იტალიის კერპია და ანეკდოტების გმირადაც კი იქცა. ჰოდა, ადგა ფრანჩესკო და რაც კი მასზე სახუმარო გამონათქვამები გავრცელებულა, წიგნად გამოსცა. წიგნი საკმაოდ მოზრდილი გამოვიდა. ტოტიმ ჰონორარი UNICEF-ს და ხანდაზმულთა თავშესაფარს გადასცა.*

*გთავაზობთ ხსენებული წიგნიდან ამოკრეფილ ანეკდოტებს*



### ტოტი და ჯადოსნური სარკე

ჯენარო გატუზო, კრისტიან ვიერი და ტოტი ჯადოსნურ სარკესთან მივიდნენ, რომელიც ყველანაირ სურვილს ასრულებს, რასაც კი მის წინ მდგომი კაცი ჩაიფიქრებს. სარკესთან პირველი გატუზო მივიდა — „მინდა, იტალიაში ყველაზე მომხიბლავი მამაკაცი ვიყო!“ „გისმენ და გემორჩილები“ — სევდიანად უპასუხა სარკემ და მწარედ ამოიხვნეშა. მერე ვიერის ჯერი დადგა — „მე მინდა, იტალიაში ყველაზე გონიერი კაცი გავხდე!“ სარკე კარგა ხანს დუმდა, მერე გადააფურთხა და სამარისებური ხმით მიუგო: „ვნახოთ, გამიჭირდება, მაგრამ შევასრულებ“. ბოლოს ტოტი მიდის და ფიქრობს: „მე მინდა...“ „გაჩერდი! — იყვირა სარკემ — უკვე ყველაფერი შესრულებულია!“

### მათემატიკოსი ტოტი

ტოტი და ალესანდრო დელ პიერო მათემატიკაში გამოცდას აბარებენ. „აბა, ალესანდრო, როგორ არის საქმე?“ — ეკითხება რომაელი ტურინელს ამოცანასთან ერთსაათიანი ჯახირის შემდეგ. „ცუდად — პასუხობს „იუვენტუსის“ ვარსკვლავი — ამოცანა ამოვხსენი და ცარიელი ფურცელი ჩავაბარე“. „DIOS MIO“, შეიცხადა ტოტიმ, სასწრაფოდ დააბრუნე ეგ ფურცელი, თორემ ყველა იფიქრებს, რომ დავალება შენგან მაქვს გადაწერილი!“

### ტოტი სასამართლოში

„სინიორ ტოტი, თქვენ თავად შეგიძლიათ თქვენი დაცვა შეარჩიოთ“ — თავაზიანად უხსნის მოსამართლე ბრალდებულ რომაელს. „მაგაზე დიდი ფიქრი არ მჭირდება — უმალ პასუხობს ფრანჩესკო — მარჯვნივ პანუჩი, ცენტრში კი სამუელი კივუსთან ერთად...“

* * *

ტოტის საქმეები ძალიან გაურთულდა და ადვოკატთან სათათბიროდაა მისული. „სინიორ ფრანჩესკო, მძიმე ვითარებაა და დაცვას უფრო ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ“ — აფრთხილებს ვექილი. „თქვენც იტყვით რაღა! ნესტა და რობერტო კარლოსი გადმოვიყვანოთ, ყველა პრობლემას მოგვიხსნიან“ — ამშვიდებს ტოტი.

### ცვრიან ბალახზე...

სერია A-ში „რომა“ „ოლიმპიკოზე“ „მილანს“ ეთამაშება. ტრიბუნებზე ჯოჯოხეთი ტრიალებს, საშინელი ღრიანცელია. მავანი რომაელი ტიფოზი კი საერთო ჟრიამულში არ მონაწილეობს და ტოტის გამტერებული შესცქერის. მერე გვერდით მჯდომ მეგობარს ეკითხება: „ჯოვანი, იქნებ მეჩვენება, მაგრამ... ტოტი ფლოსტებით თამაშობს?!.. „არ გეჩვენება — მიუგო ჯოვანიმ — საშინაო მატჩია და... აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო?“

### ტოტი და მსოფლიო პოლიტიკა

ჟურნალისტი ეკითხება, ამერიკისა და ერაყის დაპირისპირებაზე რას იტყვიო. ტოტიც დაუყოვნებლივ პასუხობს: „ორივე საკმაოდ ძლიერი გუნდია, ამიტომაც წინასწარ შედეგს ვერაფრით მოგახსენებთ. სამწუხაროა, რომ ამათგან ერთ-ერთი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდება...“

### მგრძნობიარე ტოტი

საშინელი ამბავი მოხდა, დაიწვა ტოტის პირადი ბიბლიოთეკა, სადაც ფეხბურთელის ყველაზე რჩეული წიგნები იყო თავმოყრილი. რომაელი უგუნებოდაა — სულ ორი ბროშურა ჰქონდა, რომელთაგან მეორის ბოლომდე გაფერადება ვერ მოასწრო...

### მოწყალე ტოტი

კათოლიკე მონაზვნებმა ტოტის შეწირულობის მოსაგროვებლად მიაკითხეს: „ღვთის გულისთვის, შვილო, რითი შეგიძლია ქრისტეს დებს დაეხმარო?“ ფრანჩესკომ ახალგაზრდა ქალებს განცვიფრებით ახედდახედა და: „ღმერთო დიდებულო, საოცრად კარგად გამოიყურებით, ვერავინ იფიქრებს, ქრისტეს დები არიანო“ — აღმოხდა ფრანჩესკოს...




### ტოტი და ჩიტი

ფრანჩესკო ტოტი პარკში საცოლესთან ერთად დასეირნობს. უცებ ქალი დასევდიანდა და საქმროს ეუბნება: „ნახე, ფრანჩესკო, აგერ, მკვდარი ჩიტი აგდია...“ „სად, აბა, სად?“ — გაფაციცებით იყურება ცაში ტოტი.

### ტოტი – ვუნდერკინდი

მასწავლებელი პატარა ტოტის: „ფრანჩესკო, საყვარელო, იცი, ღმერთ აპოლონის დედას რა ჰქვია?“ „აგალინა“ — დაუფიქრებლად პასუხობს მომავალი ლეგენდა (იტალიურად APOLLO წიწილაა, AGALLINA კი ქათამი...).

**ლადო ხომერიკი**

# ესპანეთი

*ლადო ხომერიკი*

# ფიგუს შეშინდეს

| XXXV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ატლეტიკო | — | სელტა |
| დეპორტივო | — | რეალი |
| **ხვალ** | | |
| ალბასეტე | — | სარაგოსა |
| ბარსელონა | — | ესპანიოლი |
| სოსიედადი | — | ვილიარეალი |
| სევილია | — | ბილბაო |
| ვალენსია | — | ბეტისი |
| მალიორკა | — | მალაგა |
| ოსასუნა | — | რასინგი |
| მურსია | — | ვალიადოლიდი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 34 | 21 | 8 | 5 | 66:24 | 71 |
| რეალი | 34 | 21 | 7 | 6 | 67:42 | 70 |
| ბარსელონა | 34 | 19 | 9 | 6 | 57:35 | 66 |
| დეპორტივო | 34 | 18 | 8 | 8 | 54:32 | 62 |
| ბილბაო | 34 | 14 | 10 | 10 | 47:41 | 52 |
| ოსასუნა | 34 | 11 | 15 | 8 | 36:31 | 48 |
| ატლეტიკო | 34 | 13 | 9 | 12 | 41:44 | 48 |
| ვილიარეალი | 34 | 13 | 8 | 13 | 42:43 | 47 |
| მალაგა | 34 | 14 | 5 | 15 | 45:49 | 47 |
| სევილია | 34 | 12 | 10 | 12 | 49:42 | 46 |
| ბეტისი | 34 | 11 | 13 | 10 | 42:38 | 46 |
| სოსიედადი | 34 | 10 | 10 | 14 | 40:47 | 40 |
| ალბასეტე | 34 | 11 | 7 | 16 | 34:42 | 40 |
| სარაგოსა | 34 | 10 | 9 | 15 | 40:50 | 39 |
| მალიორკა | 34 | 11 | 6 | 17 | 43:60 | 39 |
| რასინგი | 34 | 10 | 9 | 15 | 44:58 | 38 |
| ვალიადოლიდი | 34 | 9 | 10 | 15 | 40:51 | 37 |
| ესპანიოლი | 34 | 11 | 4 | 19 | 41:56 | 37 |
| სელტა | 34 | 8 | 12 | 14 | 43:59 | 36 |
| მურსია | 34 | 3 | 11 | 20 | 25:52 | 20 |

*„რასინგს“ დაკლებული აქვს 1 ქულა*

დღეს მადრიდის „რეალი“ ლა კორუნიის „რიასორს“ მხოლოდ ერთი მიზნით მიაკითხავს — ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა „დეპორტივოს“ უნდა მოუგოს. წინა ტურში „ბარსელონასთან“ წაგებული „ელ კლასიკოს“ შემდეგ დედაქალაქელებს სხვა აღარაფერი დარჩენიათ — ირურეტას ბიჭებს სამი ქულა უნდა აართვან, მაგრამ ეს რომ ძნელი იქნება, თავად განსაჯეთ: „რეალმა“ ბოლოს „რიასორზე“ 12 წლის წინ იმარჯვა, თანაც მაშინ „დეპორი“ სეგუნდადივიზიონიდან ახალი გადმოსული იყო.

ლაკორუნიელთა სანუკვარი მიზანი იცით, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „პორტუს“ ძლევა და შემდეგ ფინალშიც მოგებაა, ამიტომაც მოსალოდნელია, რომ ხავიერ ირურეტა „რეალთან“ დიდად არ გარისკავს ანუ შესაძლოა, წამყვანი ფეხბურთელები დაასვენოს. მის კოლეგა კეიროშს კი „ბარსასთან“ გაყვითლებული ივან ელგერა არ ეყოლება, მწვრთნელსაც რაულ ბრავოსთან მეხიას ან პავონის შეწყვილება მოუწევს.

| 5438 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,3 | 3,4 |
| 5439 | სიტი-ნიუკასლი | 1,9 | 1,9 |
| 5440 | პორტსმუთი-ფულემი | 1,75 | 2,1 |
| 5441 | ვულვერჰემპტონი-ევერტონი | 1,9 | 1,9 |
| 5442 | ბოლტონი-ლიდსი | 1,85 | 1,95 |
| 5443 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 1,5 | 2,6 |
| 5444 | ლივერპული-მიდლსბრო | 1,4 | 3,0 |
| 5445 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 1,75 | 2,1 |
| 5446 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1,55 | 2,5 |
| 5447 | კაიზერსლაუტერნი-მიონხენგლადბახი | 1,7 | 2,2 |
| 5448 | დორტმუნდი-ჰანზა | 1,3 | 3,4 |
| 5449 | მიუნხენი-ლევერკუზენი | 2,0 | 1,8 |
| 5450 | კიოლნი-ბაიერნი | 3,5 | 1,25 |
| 5451 | ვერდერი-ჰამბურგი | 1,35 | 3,2 |
| 5452 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1,45 | 2,8 |
| 5453 | შალკე-ჰერტა | 1,7 | 2,2 |
| 5456 | ლაციო-რეჯინა | 1,25 | 3,7 |
| 5457 | ლეჩე-ინტერი | 2,0 | 1,8 |
| 5458 | მილანი-რომა | 1,8 | 2,0 |
| 5460 | პერუჯა-იუვენტუსი | 2,0 | 1,8 |
| 5461 | სამპდორია-უდინეზე | 1,75 | 2,1 |
| 5462 | სიენა-ბრეშა | 1,8 | 2,0 |
| 5463 | ატლეტიკო-სელტა | 1,8 | 2,0 |
| 5464 | დეპორტივო-რეალი | 2,0 | 1,8 |
| 5466 | მალიორკა-მალაგა | 1,65 | 2,3 |
| 5467 | ალბასეტე-სარაგოსა | 1,8 | 2,0 |
| 5468 | სევილია-ბილბაო | 1,8 | 2,0 |
| 5469 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1,6 | 2,4 |
| 5470 | ოსასუნა-რასინგი | 1,75 | 2,1 |
| 5471 | ვალენსია-ბეტისი | 1,25 | 3,7 |
| 5472 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1,25 | 3,7 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 5235 | არსენალი-ბირმინგემი | 2,0 | 1,6 |
| 5236 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 1,85 | 1,75 |
| 5237 | ჩარლტონი-ლესტერი | 1,8 | 1,8 |
| 5238 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,95 | 1,65 |
| 5239 | სიტი-ნიუკასლი | 1,8 | 1,8 |
| 5240 | პორტსმუთი-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 5241 | ვულვერჰემპტონი-ევერტონი | 1,75 | 1,85 |
| 5242 | ბოლტონი-ლიდსი | 1,9 | 1,7 |
| 5243 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 1,8 | 1,8 |
| 5244 | ლივერპული-მიდლსბრო | 1,85 | 1,75 |
| 5245 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 2,0 | 1,6 |
| 5246 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2,0 | 1,6 |
| 5247 | კაიზერსლაუტერნი-მიონხენგლადბახი | 1,85 | 1,75 |
| 5248 | დორტმუნდი-ჰანზა | 1,95 | 1,65 |
| 5249 | მიუნხენი-ლევერკუზენი | 2,0 | 1,6 |
| 5250 | კიოლნი-ბაიერნი | 2,1 | 1,55 |
| 5251 | ვერდერი-ჰამბურგი | 1,95 | 1,65 |
| 5252 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1,85 | 1,75 |
| 5253 | შალკე-ჰერტა | 1,85 | 1,75 |
| 5256 | ლაციო-რეჯინა | 1,95 | 1,65 |
| 5257 | ლეჩე-ინტერი | 1,9 | 1,7 |
| 5258 | მილანი-რომა | 1,75 | 1,85 |
| 5260 | პერუჯა-იუვენტუსი | 1,95 | 1,65 |
| 5261 | სამპდორია-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 5262 | სიენა-ბრეშა | 1,6 | 1,9 |
| 5263 | ატლეტიკო-სელტა | 1,85 | 1,75 |
| 5264 | დეპორტივო-რეალი | 1,9 | 1,7 |
| 5266 | მალიორკა-მალაგა | 1,75 | 1,85 |
| 5267 | ალბასეტე-სარაგოსა | 1,7 | 1,9 |
| 5268 | სევილია-ბილბაო | 1,75 | 1,85 |
| 5269 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1,8 | 1,8 |
| 5270 | ოსასუნა-რასინგი | 1,75 | 1,85 |
| 5271 | ვალენსია-ბეტისი | 1,85 | 1,75 |
| 5272 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1,95 | 1,65 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5335 | არსენალი-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5336 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 1,65 | 1,9 |
| 5337 | ჩარლტონი-ლესტერი | 1,7 | 1,9 |
| 5338 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5339 | სიტი-ნიუკასლი | 1,65 | 1,95 |
| 5340 | პორტსმუთი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5341 | ვულვერჰემპტონი-ევერტონი | 1,7 | 1,9 |
| 5342 | ბოლტონი-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 5343 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5344 | ლივერპული-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 5345 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 1,6 | 2,0 |
| 5346 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1,65 | 1,95 |
| 5347 | კაიზერსლაუტერნი-მიონხენგლადბახი | 1,65 | 1,95 |
| 5348 | დორტმუნდი-ჰანზა | 1,7 | 1,9 |
| 5349 | მიუნხენი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 5351 | ვერდერი-ჰამბურგი | 1,7 | 1,9 |
| 5352 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1,7 | 1,9 |
| 5353 | შალკე-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 5356 | ლაციო-რეჯინა | 1,75 | 1,85 |
| 5357 | ლეჩე-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 5358 | მილანი-რომა | 1,65 | 1,95 |
| 5360 | პერუჯა-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5361 | სამპდორია-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 5362 | სიენა-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 5363 | ატლეტიკო-სელტა | 1,65 | 1,95 |
| 5364 | დეპორტივო-რეალი | 1,65 | 1,95 |
| 5366 | მალიორკა-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 5367 | ალბასეტე-სარაგოსა | 1,65 | 1,95 |
| 5368 | სევილია-ბილბაო | 1,65 | 1,95 |
| 5369 | სოსიედადი-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |
| 5370 | ოსასუნა-რასინგი | 1,65 | 1,95 |
| 5371 | ვალენსია-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| 5372 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1,7 | 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5135 | არსენალი-ბირმინგემი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5136 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 5137 | ჩარლტონი-ლესტერი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5138 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5139 | სიტი-ნიუკასლი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5140 | პორტსმუთი-ფულემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5141 | ვულვერჰემპტონი-ევერტონი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5142 | ბოლტონი-ლიდსი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5143 | ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,8 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5144 | ლივერპული-მიდლსბრო | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 5,0 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5145 | ფრაიბურგი-ჰანოვერი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,0 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5146 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5147 | კაიზერსლაუტერნ-მიონხენგლ. | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5148 | დორტმუნდი-ჰანზა | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5149 | მიუნხენი-ლევერკუზენი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5150 | კიოლნი-ბაიერნი | 12,0 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 5,6 | 3,4 | 30,0 | 15,0 | 1,6 |
| 5151 | ვერდერი-ჰამბურგი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5152 | შტუტგარტი-ბოხუმი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5153 | შალკე-ჰერტა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5156 | ლაციო-რეჯინა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5157 | ლეჩე-ინტერი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,0 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5158 | მილანი-რომა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5160 | პერუჯა-იუვენტუსი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,2 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5161 | სამპდორია-უდინეზე | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,0 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5162 | სიენა-ბრეშა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 2,8 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5163 | ატლეტიკო-სელტა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5164 | დეპორტივო-რეალი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5166 | მალიორკა-მალაგა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5167 | ალბასეტე-სარაგოსა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,2 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5168 | სევილია-ბილბაო | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5169 | სოსიდადი-ვილიარეალი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5170 | ოსასუნა-რასინგი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5171 | ვალენსია-ბეტისი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5172 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათი წელი უსენოდ

## ყველაზე სწრაფი მსოფლიოში



FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ზუსტად ათი წლის წინ, 1994 წლის 1მაისს იტალიაში, იმოლას ავტოდრომზე რბოლისას დაიღუპა ფორმულა ერთში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი აირტონ სენა.

— ყველაფერი ან არაფერი — ეს იყო ბრაზილიელი „ჯადოქრის" ხანმოკლე, კაშკაშა ცხოვრების კრედო. სწორედ თავისი დიდოსტატური, ზერისკიანი და გამორჩეულად სწრაფი ჯირითის წყალობით 31 წლისამ სამჯერ დაიდგა გვირგვინი, რაც დღესაც „სამეფო რბოლების" სარეკორდო მიღწევაა.

ბევრის აღიარებით მეფორმულის ეტალონ აირტონს გამარჯვება „მკვდარი" მანქანითაც კი შეეძლო. იაპონელები მას თავისიანად თვლიდნენ, ტრასაზე ნამდვილი სამურაიაო.

„აირტონი, ცხადია, საუკეთესო პილოტი იყო იმათგან, ვის წინააღმდეგაც მირბოლია. ის სრულყოფილი იყო, სიმართლე რომ ითქვას, შესაძლოა, ფორმულის ისტორიაში ყველაზე უკეთესიც კი" — უთქვამს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ალენ პროსტს



### ბავშვობა

სან პაულუში, შეძლებულ და სახელოვან ბრაზილიელ მრეწველ მილტონ და სილვას ოჯახში 44 წლის წინ დაიბადა ბიჭი, რომელსაც აირტონი დაარქვეს. ბეკუს, როგორც ახლობლები მოფერებით ეძახდნენ, ბავშვობაში მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებდა.

„როცა სადილზე დესერტის დრო დადგებოდა, მას მუდამ ნაყინის ორ ულუფას ვაძლევდით, რადგან ერთ-ერთი უეჭველად იატაკზე აღმოჩნდებოდა ხოლმე — იგონებს აირტონის დედა, სინიორა ნეიდე — მაშინ ნებისმიერი კიბე, რომელსაც სამ საფეხურზე მეტი ჰქონდა, მისთვის დაუძლეველი წინაღობა იყო."

ვინ წარმოიდგენდა, რომ მოუხერხებელი ბეკუ მეოთხედი საუკუნის შემდეგ მთელს დუნიაზე ყველაზე სწრაფი და ავტორიტეტული მრბოლი გახდებოდა.

ოთხი წლისას მამამ კარტი აჩუქა და ყველაფერი აქედან დაიწყო...

13 წლის აირტონ და სილვა თავის პირველ საკარტინგო შეჯიბრში გამოვიდა, ხუთიოდ წელიწადში კი უკვე ბრაზილიის სამგზის და სამხრეთ ამერიკის ორგზის ჩემპიონი იყო, ორჯერაც (1979, 80) მსოფლიოს ვიცეჩემპიონი გახდა.

კარტინგში თითქმის ყველაფრის მოგების შემდეგ გზა ხსნილი იყო და სენამაც ევროპას მიაშურა კარიერის საფორმულო ავტოებით გასაგრძელებლად.

### ევროპა

ბებერ კონტინენტზე აირტონმა ფორმულა-ფორდით დაიწყო, ოღონდ დედის გვარით — სენა, რათა წარუმატებლობის შემთხვევაში ოჯახის პრესტიჟისთვის ჩრდილი არ მიეყენებინა. იმ დროს ცოლიც მოიყვანა, მაგრამ მალევე მარტო დარჩა — ლილიანმა ვერ აიტანა მეუღლის ფანატიკური ერთგულება რბოლებისადმი, შენ მანქანა უფრო გჭირდება, ვიდრე ცოლიო.

ნიჭიერი მრბოლი 1984 წელს ყველასთვის საოცნებო, ფორმულა 1-ის ქარავანში მოხვდა და დაიწყო მისი ფანტასტიკური აღმასვლა: მეტნაკლები წარმატება საშუალო დონის „ტოულმენით" და „ლოტუსით", მერე კი სუპერ „მაკლარენი" და სამი საჩემპიონო ტიტული.

1994 წელს, თითქმის სამწლიანი მცდელობის შემდეგ, აირტონ სენა როგორც იქნა, უძლიერეს „უილიამსში" გადაჯდა და სწორედ ეს გახდა მისი საბედისწერო შეცდომა — მეოთხე ტიტულის ნაცვლად თეთრ-ლურჯა ბოლიდმა მას სიკვდილი მოუტანა.

### ქალები

აირტონს უყვარდა ქალები და მის ცხოვრებაში ისინი მრავლადაც იყვნენ, თუმც ბრაზილიელი აშკარად და არაორაზროვნად მათზე წინ მუდამ რბოლებს აყენებდა. სწორედ ამ ფანატიკურმა გატაცებამ მისი ყველა რომანი დაანგრია — პირველიც და შემდეგ ყველაზე გახმაურებული „ოფიციალურიც" ტელეწამყვან შუშა მენეგელთან.

1981 წლის თებერვალში ოცი წლის აირტონმა ცოლად მოიყვანა თავისი კოლეგა ლილიან და ვაშკონსელუშ სოუსა — ერთ დროს ისინი ერთად დაქროდნენ კარტებით. ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, სენას უბრალოდ არ შეეძლო რბოლასთან ცოლქმრობის შეთავსება.

შემდეგ იყო რამდენიმე ხანმოკლე კავშირი. 1983 წელს აირტონს რბოლებზე დაჰყვებოდა შავთვალა კრისტინა, მერეც მის გვერდით არაერთხელ უნახავთ მოდელები და მსახიობები — მარჯორი ანდრადე, კეროლ ალტი, პატრიცია მაშადუ, ვირჯინია ნოვიკი... იმასაც ამბობდნენ, ბრაზილიელის „დონჟუანურ სიაში" ჰოლანდიელ ფეხბურთელ რუუდ გულიტის ცოლი კრისტინა პენსაც იყოო.

ერთ-ერთ გულის სწორს, ადრიანა იამინს აირტონმა 1988 წელს მორიგი მოგებული რბოლაც კი მიუძღვნა, მაგრამ რამდენიმე თვეში ისინი ერთმანეთს დაშორდნენ და „ჯადოქარმა" შუშასთან გააბა კავშირი. ტელევარსკვლავი მარია და გრასა მენეგელი, უბრალოდ კი „შუშა" მან ლეგენდარული პელეს მოსაფერებელ საღამოზე გაიცნო.

სწორედ იმხანად სენა ხმაურიანი სკანდალის ეპიცენტრში აღმოჩნდა. როგორც კი ჟურნალისტებმა გაიგეს, რომ იგი მეგობრობს ამერიკუ ჟუნიორთან — თავის პირად მდივანთან, რომელიც მის სახლში ცხოვრობდა, გავრცელდა ხმები მსოფლიოს ჩემპიონის ჰომოსექსუალობაზე. ცეცხლზე ნავთი დაასხა მეორე დიდი ბრაზილიელი პილოტის ნელსონ პიკეს გამონათქვამმა პრესაში. იმ დროისთვის „სამეფო რბოლების" ყველაზე ტიტულიანი „პრინცი" ნელსონი მწვავედ განიცდიდა სამშობლოში სენას არნახულ პოპულარობას (1987 წელს პიკე მესამედ გახდა ჩემპიონი, ბრაზილიის საუკეთესო სპორტსმენად კი სენა დაასახელეს). ჰოდა, ერთხელაც, ჟურნალისტებთან საუბრისას ნელსონმა მათ ურჩია ეკითხათ სენასთვის, თუ რატომ არ უყვარდა ქალები. ცხადია, სენას რეაქციამ არ დააყოვნა, საქმე სასამართლომდე მივიდა და პიკეც იძულებული გახდა, თავისი სიტყვები უკან წაეღო.

ბოლო დარტყმაც აირტონისა იყო. „პლეიბოის" ინტერვიუში მან ნელსონს ურჩია, ენას კბილი დააჭირეო: „მათ ეს კამპანია ჩემს გასანადგურებლად გააჩაღეს. რახან ტრასაზე ვერაფერი დამაკლეს, ახლა პირად ცხოვრებაში მიძვრებიან. მე ვიცნობდი კეტრინს და ვიცნობდი მას, როგორც ქალს." ბელგიელი კეტრინ ვალენტინი, პიკეს მეუღლე, მასთან გაცნობამდე სენასთან მეგობრობდა.



აირტონის ადრიანასთან დაქორწინება არ დასცალდა

შუშასთან სასიყვარულო ამბებით აირტონმა თავისი რეპუტაცია აღიდგინა. მასზე სამი წლით უმცროსი მენეგელი იმ დროისთვის მთელს ლათინურ ამერიკაში ერთ-ერთ ულამაზეს ქალად ითვლებოდა. მათი რომანი მაშინ გახმაურდა, როცა მრბოლმა მის ჩამოსაყვანად საკუთარი თვითმფრინავი გააგზავნა. დაშორების მერე სენამ აღიარა, რომ მომხიბვლელ ქერათმიანთან დაქორწინებაზე ოცნებობდა და სურდა, მისგან შვილები ჰყოლოდა.

„ჯადოქარის" სასიყვარულო ისტორიები სხვადასხვანაირად კი იწყებოდა, მაგრამ ერთნაირად მთავრდებოდა. ერთის გარდა.

სენას ბოლო სიყვარული იყო პორტუგალიელი ფოტომოდელი ადრიანა გალისტეუ, რომელიც 1993 წელს ბრაზილიის დიდი პრიზის გათამაშებისას გაიცნო, რომ იტყვიან, ერთი ნახვით შეუყვარდა და მეორე დღეს სან პაულუდან ასიოდე კილომეტრით დაშორებულ თავის ზღაპრულ მამულში დაპატიჟა. მთელი წლის განმავლობაში ადრიანა აირტონს ყველა ავტოდრომზე დაჰყვებოდა და დაღუპვამდე მცირე ხნით ადრე სენა კვლავ ალაპარაკდა ქორწინებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მის ოჯახს მაინცდამაინც არ ეხატებოდა გულზე ცისფერთვალება, მოქარაფშუტო სარძლო.

**გია ახალაძე**

**დასასრული იქნება**



ლილიანი



კრისტინა



კეროლი



მარჯორი



შუშა

# ჩვენ შეგვიძლია საქართველოს გახარება

## მოთოკეთ ერთმანეთი და ემოციები, თქვენ ამერიკა გაკონტროლებთ!



*რაც უფრო დიდი ფულს ისრუტავს ეროვნული საკალათბურთო ასიციაცია, მით უფრო ღარიბდება ნბა ადამიანური, თბილი ურთიერთობებისგან. იმას, რასაც საქართველოში ყველგან შეხვდებით და ევროპაშიც არცთუ იშვიათობაა, თითქმის ვერ ნახავთ ოკეანგაღმა, ყველაზე მაღალი დონის საკალათბურთო ლიგაში. ლაპარაკია გუნდელებსა და არა მარტო მათ შორის მეგობრობაზე, გაჭირვებაში ხელის გაწვდენაზე და უბრალოდ, ერთად ყოფნაზე. ასეთ უცნაურ გარემოში უწევს თამაში საქართველოში მრავალი მეგობრის მყოლ ზაზა ფაჩულიას, რომელმაც პირველ რიგში თავისი დადებითი პიროვნული თვისებებით დაიმსახურა ორლანდოელთა კეთილგანწყობა. ფაჩულიას ავანჩავანი ყველასთვის კარგადაა ცნობილი, გუშინდელ ინტერვიუში კი მას ძირითადად ნბა-ს ზნეობრივ „ამინდსა" და შიდაგუნდურ ურთიერთობებზე ვესაუბრეთ...*

— რა არის ის ძირითადი, რითაც განსხვავდება ნბა ევროპული კალათბურთისგან?

— კონკრეტულად თქმა ძნელია, არის ბევრი რამ, რაც ამ ორ საკალათბურთო სამყაროს განასხვავებს.

— მაინც?

— ნბა-ში ყველაფერს მეტი პროფესიონალიზმით უდგებიან და ეს არ ეხება მხოლოდ იმას, რაც მოედანზე ხდება. უშუალოდ მოედანზე გაცილებით მეტი ენერგია იხარჯება, ამერიკაში ძალისმიერი თამაში უყვართ, თან ყველაფერი ეს ევროპაზე მეტხანს, 48 წუთს გრძელდება. მაგრამ ამერიკაში მაინც ყველაფერი უკეთესია, ვიდრე ევროპაში.

— უკეთესი, მაგრამ ძნელად მისაღწევი.

— რა თქმა უნდა. ამერიკაში მეტი მუშაობა გიწევს, მაგრამ არც მთლად ფიზიკური ძალის იმედზე უნდა იყო. აზროვნებას იქაც დიდი გასაქანი აქვს. თუ გონება არ გიჭრის, მხოლოდ ძალა, სიმაღლე და მონაცემები არაფერში გამოგადგება. ტვინი უნდა გაანძრიო და ყველაფერს გაცილებით იოლად, ზედმეტი პრობლემების გარეშე მიაღწევ.

— სადაც მეტი პროფესიონალიზმია, დისციპლინაც მეტი იქნება, ეგებ პირად ცხოვრებასაც გადასწვდეს...

— არის ისეთი დირექტივები, რომელიც სულ უნდა დაიცვა, თუნდაც მარტო იყო. ესენი უფრო ზოგადი ხასიათის აკრძალვებია. მაგალითად, ნასვამი საჭესთან არ უნდა დაჯდე, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში არ უნდა იჩხუბო. მოკლედ, ისეთი რამ არ უნდა ჩაიდინო, რითაც შენი გუნდის რეპუტაციას შელახავ. პრესა ჩასაფრებულია და თუ რამე კანონდარღვევაზე წაგასწრო, პირველ გვერდზე გამოგაჭენებს... დანარჩენი უკვე ჩვეულებრივი შიდაგუნდური პირობებია — ვარჯიშზე არ დაგვიანება და ასე შემდეგ.

— სეზონის განმავლობაში მთელი ამერიკის შემოვლა მოგიწია, სასტუმროში ვისთან ერთად იყავი ოთახში?

— არავისთან. იქ ასე არ ხდება, ყველა თავისთვისაა, ცალკე ნომერში.

— რატომ, მწვრთნელმა გადაწყვიტა ასე?

— არა, უბრალოდ, იქ არავინაა ერთმანეთთან ისე ახლოს, ნომერში სხვასთან ერთად შევიდეს. გუნდში ყველა თავისთვისაა, თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ.

— ეს მარტო „ორლანდოში" ხდება თუ...

— არა, ყველა კლუბში ასეა, იშვიათი გამონაკლისის გარდა. მხოლოდ მოედანზე არიან ერთად, ვარჯიშის, ანაც თამაშის შემდეგ ყველა თავის გზას პოულობს, ერთმანეთს არ ეკონტაქტებიან.

— რატომ ხდება ასე, მეგობრობა არ იციან?

— კალათბურთი მათი სამუშაოა, მეგობრებს და ძმაბიჭებს კი თავისი ადგილი აქვთ. თუ ჰაი-სქულიდან, კოლეჯიდან ერთად მოდიან, მხოლოდ იმ შემთხვევაში მეგობრობენ ნბა-ს კალათბურთელები.

— აბა, ვისთან მეგობრობენ, თუ არა გუნდელებთან?

— ყველაზე ნამდვილ მეგობრად ამერიკაში ბავშვობის მეგობარი ითვლება. ჰოდა, ნბა-ს ყველა მოთამაშეს ჰყავს თავისი ბავშვობის მეგობარი და სხვათა შორის, ძალიან თბილი ურთიერთობაც აქვთ. ნბა-ში დალხენილად მყოფი კალათბურთელი ყველანაირად ეცდება იმ მეგობრის დახმარებას, რომელსაც არ გაუმართლა. ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა მოთამაშეებს თავისი ძმაკაცები უსასყიდლოდ დაჰყავთ გასვლით თამაშებზე.

— შენი აზრით, რა არის ნბა-ს კალათბურთელთა უმრავლესობის მთავარი მიზანი, მრავალმილიონიანი კონტრაქტი თუ საჩემპიონო ბეჭედი?

— ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვის ფული აინტერესებს, ვის ჩემპიონობა. მაგალითად, გერი პეიტონმა და კარლ მელოუნმა ძვირადღირებული კონტრაქტები დააგდეს და შედარებით დაბალ ხელფასზე დათანხმდნენ „ლეიკერსში" თამაშს, სადაც ჩემპიონობის მეტი შანსი აქვთ. არიან ისეთებიც, ფულის გარდა არაფერი აინტერესებთ. ისე, გააჩნია ვითარებას, თუ ვეტერანი ხარ, ბლომად კაპიტალი დაგიგროვებია და სახელს დაეძებ, უარს იტყვი სუსტი გუნდის მილიონებზე.

— შენთვის რომელია მთავარი?

— მე ჯერ ახალგაზრდა ვარ, კაცმა არ იცის, წინ რა მელის, ფულის შოვნას ჯერ საჩემპიონო ბეჭდის მორგება მიჯობს. ისე, ორივე ერთად არ შეიძლება?

— ნბა-ელების ყველაზე დიდი სატრაბახო რა არის?

— ვისთვის სტატისტიკა, ვისთვისაც მაგარი კონტრაქტი. ყველას თავისი ხუშტური აქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველას შეუძლია მარტო იმით იტრაბახოს, რომ ნბა-ში თამაშობს.

— ნბა-ს გუნდები გაუთავებლად მოგზაურობენ და მოთამაშეები ჩაცმულობას თუ აქცევენ ყურადღებას?

— არიან ისეთები, რომლებსაც ფეხებზე ჰკიდიათ, რას ჩაიცმევენ. ჩემი აზრით, ეს არასწორი მიდგომაა, ნბა-ში თუ თამაშობ და ვარსკვლავი გქვია, გარეგნულადაც სამაგალითო უნდა იყო, მით უმეტეს, რომ ფულის პრობლემა არ გაქვს. მე საკმაო ყურადღებას ვუთმობ ჩაცმულობას.

— ფულის პრობლემა არ არისო, თქვი, თუმც „ორლანდოში" შენზე გაცილებით დიდხელფასიანი მოთამაშეებიც არიან. დავუშვათ, ძალიან გჭირდება გარკვეული თანხა და არ გაქვს, გუნდელთან ვერ მიხვალ სასესხებლად?

— არა, ასეთი რამ გუნდელებს შორის მიუღებელია. იქ საქართველო კი არაა, დოლარები სახლში, ანაც ბანკში რომ ჰქონდეთ. ყველა დიდი ფულის პატრონს ინვესტიციები აქვს. ამერიკაში თითოეული ცენტი განსაზღვრულია.

— კარგი, ფულს თავი დავანებოთ, მანქანა გაგიფუჭდა და საქმეზე ხარ წასასვლელი...

— ეგ შეიძლება, გათხოვებენ. ისე, ტრეისი მაკგრეიდის 13 მანქანა ჰყავს და სათხოვნელად რომ მიხვალ, უნდა გაჩუქოს ერთი...

— მაკგრეიდისთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— სხვათა შორის, ორლანდოელთაგან მხოლოდ მაკგრეიდის სახლში ვარ ნამყოფი, შეიძლება ითქვას, რომ მასთან ყველაზე ახლოს ვარ.

— ლამაზი სახლი აქვს?

— მოყოლას აზრი არ აქვს, ტრეისის სახლი, უფრო სწორედ კოშკი, უნდა ნახო. ტბის ნაპირას აქვს უზარმაზარი სასახლე. შორიდან რომ დაინახავ, იფიქრებ, ახლა აქედან მეფე ან პრინცი გამოვაო. რა გინდა, შიგნით რომ არ იყოს: კინოდარბაზი, აუზები, კორტები, საკალათბურთო მოედნები, მოკლედ, ყველაფერი. იმიტომაც არ დადის არსად, ყველანაირი გასართობი თავის მამულში აქვს.

— და საიდან აღმოჩნდი იქ?

— მივედი და პირდაპირ ვუთხარი, შენთან სახლში მინდა წამოსვლა, მაინტერესებს, როგორ ცხოვრობს ნბა-ს სუპერვარსკვლავი მეთქი. რა პრობლემააო...

— მაკგრეიდი ერთხელ ისე გაკოჭე მოედანზე, კინაღამ გაჭყლიტე. რა ხდებოდა?

— „დენვერთან" ერთ-ერთი მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიდიოდა, როცა მაკგრეიდის ნერვებმა უმტყუნა და ბურთს ფეხი ამოსცხო. მე მივედი და დავიჭირე, რათა მსაჯებს მეორე ტექნიკურით მოედნიდან არ გაეძევებინათ. მაგრამ როცა გავუშვი, მან ისევ იგივე გაიმეორა და მსაჯებმაც აღარ დაინდეს. ის თამაში საბოლოოდ მოვიგეთ და აღარ მინანია, მაკგრეიდი რომ გავუშვი.



— არც შენ ხარ ნაკლები, ტექნიკური არაერთხელ დაგიმსახურებია...

— ემოციურობის ბრალია ყველაფერი, ევროპაშიც არაერთხელ მიჩხუბია და მიჭირს გადაჩვევა. „მინესოტასთან" მატჩში ერთ-ერთ თანაგუნდელს გამოვესარჩლე, ასეთ რამეს ახალბედები ჩვეულებრივ არ აკეთებენ, ვეტერანი ჩაერევა ხოლმე სხვების ჩხუბში. თავიდან აღმაცერად შემომხედეს, შემდეგ კი გასახდელში ყველამ შემიქო საქციელი, ყოჩაღ, ჩვენიანი რომ დაიცავიო.

— ჟურნალისტები თუ გაქებენ?

— საკმარისად. ისე, ჟურნალისტები ჩემით ხშირად ინტერესდებოდნენ, წინა თვის ერთ-ერთ ფლორიდული ჟურნალის გამოკითხვის შედეგად „ორლანდოს" ფანთა ფავორიტად დამასახელეს.

— რით დაიმსახურე გულშემატკივართა კეთილგანწყობა?

— თავმდაბლობით, კარგი ხასიათით, შეუპოვარი და მებრძოლი სულისკვეთებით. შეიძლება მოედანზე არ ვბრწყინავ, მაგრამ ჩემს მონდომებას და გულით თამაშს ყველა ამჩნევს.

— სადებიუტო სეზონში ნბა-ს საზომით ძალიან მცირე საკონტრაქტო თანხა აიღე. ფიქრობ, რომ მეტს იმსახურებ?

— მეტს ვიმსახურებ. საერთოდ ასეთი ხასიათი მაქვს, რასაც ვიმსახურებ, უნდა მივიღო. ნბა-ში ასეა, სადაც კარგად ხარ, სადაც მეტი ხელფასი გაქვს და თამაშობ, იქ უნდა წახვიდე. ისე, „ორლანდოში" კარგი პერსპექტივა მაქვს, ქალაქიც ძალიან მომწონს, მაგრამ მაინც წავალ, თუ უკეთესი ვარიანტი გამომიჩნდა. ჩემი მენეჯერი მალე დაიწყებს გუნდის ძებნას, თუ ვერ იპოვა, „ორლანდოსთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს.

— ბოლოს ნაკრებზე გკითხავ: გუშინ სპორტის დეპარტამენტის უფროსთან შეხვედრაზე სახელმწიფოსგან კალათბურთით მეტი დაინტერესება მოითხოვე...

— ცხადია, სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა მოგვაქციოს, რადგან ჩვენს ნაკრებს რეალურად ძალუძს ქართველი ხალხის გახარება. მე დეპარტამენტის თავმჯდომარესთან კი ვთქვი, თუ ყურადღებას არ გამოიჩენთ, აღარ ჩამოვალ მეთქი, მაგრამ ეს არ იყო ულტიმატუმი. ეს იყო ლოგიკური პასუხი, რადგან თუ არავინ მოგვხედა და ეს საკვალიფიკაციო ვერ დავძლიეთ, მერე ძალიანაც რომ გვინდოდეს, 2009 წლამდე ვერ ვითამაშებთ ევროპის ჩემპიონატზე. ჩვენ, ნბა-ელები ფულს არ ვითხოვთ, მხოლოდ ყურადღება და ხალხის მხარდაჭერა გვჭირდება. მე ერთხელ უკვე ვნახე ხალხის გვერდში დგომა ბულგარეთთან და ბელორუსთან და არ მინდა, ნახევრად ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში. სპორტის სასახლე უნდა გაივსოს, მაყურებელი მეექვსე მოთამაშედ უნდა დაგვიდგეს. მაკედონიამ და ფინეთმა უნდა იგრძნონ, რომ თბილისში ექვსი ხუთზე ვეთამაშებით. მხოლოდ მე და ნაკრების დანარჩენ წევრებს არ გვინდა გამარჯვება, ის სრულიად საქართველოს სჭირდება და იმსახურებს კიდეც.

**ირაკლი პერტაია**

# ევროლიგა

ოთხთა ფინალი თელ ავივი. 29 აპრილი - 1 მაისი

Final four Tel Aviv



„მაკაბის“ ლიტველი ლიდერი შარუნას იასიკევიჩუსი

## მაკაბი 93:85 ცსკა

18:27 23:15 21:13 31:30

**მაკაბი:** იასიკევიჩუსი (18), ბურშტეინი (5), პარკერი (27), ვუიჩიჩი (14), ბასტონი (11); ბლუტენტალი (9), ჰალპერინ (4), ტომასი (2), შელეფი (2), შარფი (1)

**ცსკა:** ბრაუნი (23), ჰოლდენი (16), მონია (10), თურქჯანი (10), ტარლაჩი (6); ალექსანდერი (12), პაპალუკასი (6), იუდინი (2)

# ებრაელებმა წითელი არმია გააყვითლეს

მომავალ წელს ძალები თანაბრად გაანაწილონ. ევროლიგის ოთხთა ფინალს 2005 წელს მოსკოვი მასპინძლობს და კიდევ ერთი მარცხი რუსული კალათბურთის ფლაგმანს თუ არ ჩაძირავს, გვარიანად შეარყევს.

ფინალის საგზური პირველ ტაიმში 11-ქულიანი ჩამორჩენის მიუხედავად ოთხთა ფინალის მასპინძელ „მაკაბის“ შეხვდა. ზანგი და სხვა უცხოელი კალათბურთელებით გაძეძგილმა ებრაულმა გუნდმა (სხვათა შორის, ზუსტად იგივე ითქმის ცსკა-ზე) საწყის წუთებში წარმოქმნილი ნაპრალი უკვე მეორე მეოთხედის ბოლოს ამოავსო და დიდ შესვენებაზე მინიმალური სხვაობით წავიდა. რუსულ არმიაში შესულმა ბრაუნმა, ჰოლდენმა, თურქჯანმა, ტარლაჩმა და ერთი-ორმაც რუსმა ველარ მოახერხეს უპირატესობის უკუპყრობა და დიდი წინააღმდეგობის გარეშე დაიხიეს უკან. მატჩის დამთავრებამდე ორნახევარი წუთით ადრე მასპინძლები 80:68 გაიჭრნენ და მაკაბისფრად გადაყვითლებულ 17 ათასი კაცის დამტევ ტრიბუნებზე ზეიმიც დაიწყო.

დღეს ფინალში ებრაელებს რუსულ არმიაზე ოდნავ იოლი მეტოქე ჰყავთ. ცსკა-ს ჩამოშორების შემდეგ „სკიპერის“ ძლევა შეუძლებელი არ ჩანს, ასე რომ, პალესტინელებთან ომით და ტერორისტებთან დამალობანას თამაშით დაღლილი აღთქმული მიწა ზეიმისთვის ემზადება.

რუსებო, ერთი წელი კიდევ მოიცადეთ!

ცსკა-მ წლეულსაც სხვებზე ხმაურიანად და დამაჯერებლად გაიარა ორი ჯგუფური ეტაპი და თავისთავად არ იტყოდა უარს, საკლუბო ევროპის უმაღლეს ჯილდოზე, თუმც „მაკაბისთან“ თავი შეირცხვინა და ეს სეზონიც მიაფლანგა. ახლა რუსებს ისღა დარჩენიათ, ერთი-ორი მილიონით მეტი დაახარჯონ თავის სუპერგუნდს და

## სიენა 102:103 სკიპერი

20:23 18:24 24:17 28:26 12:13

**სიენა:** სტეფანოვი (14), ტორნტონი (26), ჟუკაუსკასი (10), კიაჩიგი, გალანდა (2); კაკიუზისი (23), ანდერსენი (17), ვანტერპული (10), ვუკშევიჩი

**სკიპერი:** ბაზილე (5), დელფინო (27), ნორბეკი, ვუიანიჩი (12), სმოდიში (14); მოტოლა (12), გაიტონი (1), პოცეკო (10), მანჩინელი (6), ვან დერ შპიგელი (4)

# ბოლო-ბოლო, ბოლონია

## დელფინომ სიენა შეათამაშა

ეს გუნდები დიდი ჭაპანწყვეტის შედეგად გავიდნენ ოთხთა ფინალში. მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩებში იტალიურმა ტანდემმა ბობოლა მეტოქეები მოულოდნელად მიატოვა და თელ ავივში ამოყო თავი. ახლაც არაფერს კარგავდნენ, ხელაღებით შეუტიეს ერთმანეთს, ვაბანკზე წასვლით ეგებ ფინალშიც გავძვრეთო.

შედეგიც სახეზეა, ორივე მათგანი 100-ქულიან ზღვარს ასცდა, რაც ევროკალათბურთში მეტად იშვიათი მოვლენაა. იტალიური დერბი ბობოლა ცსკა-სა და „მაკაბის“ ბრძოლის წინ გაიმართა, თელავივური პუბლიკა მოახლოებული რუსულ-ებრაული ომის წინ „სკიპერი“ — „სიენას“ მატჩის „გაახურეს“. თუმც იტალიელებმა ისეთი დრამატული თამაში გამოაცხვეს, მაყურებელს ალბათ აფიქრებინეს, ამაზე მეტი ამბავი ვნახოთო.

მოედანზე დიდი ორომტრიალი იყო, გამარჯვებისთვის არც „სიენა“ იშურებდა რამეს და არც „სკიპერი“. პირველი სერიოზული უპირატესობა ბოლონიელებმა მოიპოვეს, როცა ჯანმარკო პოცეკოს და კარლოს დელფინოს სიზუსტის წყალობით პირველი ტაიმის ბოლოს 11 ქულით დაწინაურდნენ.

სიენელებმა ანგარიშის გაქვითვაზე იწყეს ზრუნვა და ამ საქმეში ფხა მაკედონიელმა ვრბიცა სტეფანოვმა გამოიჩინა, ვისი საქმულიანის შემდეგ მიხალის კაკიუზისმაც იყოჩაღა და „სკიპერს“ 5-ქულიანი ლიდერობაღა შერჩა.

მესამე მეოთხედში მოსახდენი მოხდა, „სიენა“ დაეწია და გადაუსწრო კიდეც „სკიპერს“, რომელიც მანამ ვერ გამოფხიზლდა, სანამ ფინელმა ჰანო მოტოლამ სამქულიანით 81:81 არ გაათანაბრა.

მოგეხსენებათ, მაკედონიელი სტეფანოვი და ფინელი მოტოლა შემოდგომაზე საქართველოს ნაკრებსაც შეუტევენ, რომელსაც ერთ-ერთი კანდიდატი, 17 წლის გიორგი ცინცაძე, ოთხთა ფინალში მონაწილე ცსკა-ს ახალგაზრდულ გუნდში ჰყავს.



მატიაჟ სმოდიში

მატჩს მივუბრუნდეთ, რომლის ძირითადი დროის დასრულებამდე წუთით ადრე ბოლონიელებმა 4-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. „სიენამაც“ ლამის წააგო, თუმც ბუტსი ტორნტონის საჯარიმოებმა მას შანსი შეუნარჩუნა, რომელიც სირენამდე 11 წამით ადრე მიხალის კაკიუზისმა გამოიყენა. მან ოვერტაიმის მომტანი სამქულიანი ჩაუგდო ბოლონიელებს.

ექსტრახუთწუთეულშიც ქულა-ქულა თამაში გაჩაღდა და ბოლო წუთმა რომ მოატანა, ასეთი ვითარება იყო: „სიენა“ 100:99 იგებდა. აქ დელფინოს ჯერი დადგა, ვინაც ჯადო სამქულიანი მიითვალა და როცა სირენამდე 17 წამით ადრე მარკო სმოდიშმა ანგარიში ისევ გაათანაბრა, საიდანღაც ჯარიმა მოინადირა... 2-დან ერთი სროლა ჩააგდო, თუმც მოგებას ესეც იყო.

**ირაკლი პერტაია**

# 2004 NBA Playoffs

29 აპრილი

### აღმოსავლეთი

**დეტროიტი 4:1 მილუოკი**

**დეტროიტი 91:77 მილუოკი**

**დეტროიტი:** ბილაფსი (19), ჰამილტონი (18), პრინსი (24 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), რ. ვოლესი (11), ბ. ვოლესი (9 ქულა, 12 მოხსნა); ოქური (8), ჰემი (2), ჰანტერი, ჯეიმსი

**მილუოკი:** ჯონსი (5), რედი (22), მეისონი (14), ვან ჰორნი (11 ქულა, 12 მოხსნა), სმიტი (16); სკინერი (4), ნაითი (3), კუკოჩი (2)

### დასავლეთი

**საკრამენტო 4:1 დალასი**

**საკრამენტო 119:118 დალასი**

**საკრამენტო:** ბიბი (36), კრისტი (13), სტოიაკოვიჩი (23 ქულა, 10 მოხსნა), ვებერი (13), დივაცი (2); მილერი (21), სონგაილა (8), პილერი (3)

**დალასი:** ნეში (24 ქულა, 14 პასი, 7 მოხსნა), დანიელსი (19), ფინლი (12), ნოვიცკი (31 ქულა, 14 მოხსნა), უოლკერი (15 ქულა, 13 მოხსნა); ჯემისონი (17), ბრედლი, ნახერა, ჰოვარდი



# ფუტკარი როგორც აფთიაქარი

## შუტლერს ნაკბენი შეარჩნდა

### OPEN SEAT GODO

ბარსელონა. თიხნარი

საპრიზო 990 ათასი ევრო

**მესამე წრე**

**გასტონ გაუდიო** (13, არგენტინა) — კარლოს მოია (2, ესპანეთი) 6:4, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (3, არგენტინა) — მარკ ლოპესი (ესპანეთი) 6:4, 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (5, ჩილე) — მარიანო საბალეტა (16, არგენტინა) 7:6 (7:2), 3:6, 6:2; **გუსტავო კუერტენი** (6, ბრაზილია) — გილერმო კანიასი (არგენტინა) 6:3, 6:7 (1:7), 6:3; **აგუსტინ კალიერი** (7, არგენტინა) — ფელისიანო ლოპესი (10, ესპანეთი) 6:3, 7:5; **ტომი რობრედო** (8, ესპანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:4, 5:7, 6:4

შარშანდელ ჩემპიონ კარლოს მოიას ტიტულის დასაცველად ბრძოლა უკვე მესამე წრეშივე შეაწყვეტინეს. ამის გაკეთება არგენტინელმა გასტონ გაუდიომ ითავა, ვინაც ტურნირის შარშანწინდელი ჩემპიონი გახლავთ და იმ წელს მესამე წრეში სწორედ კარლოს მოიას აჯობა. თავის მეორე საამსეზონო მეოთხედფინალში გაუდიო გუსტავო კუერტენს შეხვდება. ცხადია, მარცხი ტიტულის დამცველისთვის უფრო ძნელიაო, ამბობდა ნამატჩევს მოია, თუმცა — მეორეს მხრივ — ტურნირიდან ნაადრევი გავარდნა კარგად დასვენების საშუალებას მომცემსო, დასძენდა მერე.

### BMW OPEN BY CREDIT SUISSE

მიუნხენი. თიხნარი

საპრიზო 375 ათასი ევრო

**მეორე წრე**

**რაინერ შუტლერი** (1, გერმანია) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:4, 2:6, 6:4; **რადეკ სტეპანეკი** (ჩეხეთი) — ირჟი ნოვაკი (3, ჩეხეთი) 6:3, 7:5; **ლუის ორნა** (პერუ) — ტაილორ დენტი (7, აშშ) 6:4, 3:1 დენტმა შეწყვიტა

ზედ ამ მატჩის წინა [illegible] რაინერ შუტლერი — არ გაგიგკვირდეთ და — ფუტკარმა დაკბინა. ნაკბენი იდაყვი გერმანელს ისე გაუსივდა, რომ მან კინაღამ კორტზე გასვლა იუარა. თუმცა შეხვედრამდე ხელი მაინც დაცხრა და დაკბენილმა შუტლერმა თავის მხრივ ჩოგნით თვისტომ-ძმობილი ტომი ჰაასი დანესტრა. ეს მათი მეოთხე დაპირისპირება იყო და შუტლერი უკვე 4:0 იგებს.

სხვაფრივ — მესამე ნომრად განთესილ ირჟი ნოვაკს მოულოდნელად უსახელო თვისტომი და ხამუშ-ხამუშ მეწყვილე რადეკ სტეპანეკი შემოსწყრა. ამ ბოლოს ისევ გაუფეროულებულმა ნოვაკმა ერთი სეტის მოგებაც ვერ შეძლო. ამერიკელ ტაილორ დენტს კი ლუის ჰორნასთან თითქოს არწასაგები მატჩი მარცხენა კოჭის ტრავმამ შეაწყვეტინა.

### J & S CUP

ვარშავა. თიხნარი

საპრიზო 585 ათასი $

**მეორე წრე**

**ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:2, 7:6 (7:3); **ვერა ზვონარიოვა** (3, რუსეთი) — ლენკა ნემეჩკოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — ვერა დუჩევანა (რუსეთი) 6:0, 6:1; **სილვია ფარინა ელია** (6, იტალია) — მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) 6:4, 4:6, 6:4; **მაგდალენა მალეევა** (ბულგარეთი) — პატი შნიდერი (7, შვეიცარია) 5:7, 6:2, 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე** (9, იტალია) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:2, 6:3

შარშანდელმა ჩემპიონმა ამელი მორესმომ ტიტულის დაცვა ნიგუზალივით ბერძენგოგო დანილიდუს ძლევით დაიწყო. შეგახსენებთ, რომ ფრანგ დედათამავალს შარშან იქ გალაღების შემდეგ ერთი ქეციანი ტიტულიც ველარსად მოუგია.



## პლეი ოფი. მეორე წრე

# ტამპა ტრამპლინზე

29 აპრილი

### აღმოსავლეთი

**მონრეალი 0:4 ტამპა**

**მონრეალი 1:3 ტამპა**

*1:0 0:2 0:1*

**1:0 სუნდსტრიომი (6), 1:1 ბოილი (32), 1:2 რიჩარდსი (38), 1:3 მოდინი (60)**

სასწაული არ მოხდა. „მონრეალი“ ვერც სერიის მეოთხე მატჩს გადაურჩა და „ტამპამ“ წელგამართულმა გადააბიჯა მომდევნო რაუნდში.

არადა, კანადურმა კლუბმა თავისი საუკეთესო თამაში აჩვენა. გულშემატკივართა საოცარი მხარდაჭერით შეგულიანებულმა მასპინძლებმა დიდი აზარტით დაიწყეს თამაში. მე-6 წუთზე ტამპელი ბოილი შეცდა და ნიკლას სუნდსტრაომმა უმალ დააწინაურა თავისი გუნდი. „ტამპა“ მშვიდად შეხვდა სწრაფ გოლს და მომდევნო შეტევებს ჩინებულად გაუმკლავდა. მეორე პერიოდში „მონრეალი“ ემოციურად ერთობ დაიმუხტა, მოთამაშეებმა უაზრო ჯარიმები მიიღეს და „ტამპამ“ გამოიყენა თავისი შანსი. „კანადიენსი“ კვლავ მთავარმა მტერმა, ვენსან ლეკავალიემ დააზარალა. მისი პასის შემდეგ მოხვდა შაიბა ზემოთ ხსენებული ბოილის ციგურას და ყოზე თეოდორი გააოგნა. 38-ე წუთზე კი მონრეალის 4 მოთამაშე მეტოქის ზონაში ჩარჩა და ბრედ რიჩარდსმა და დმიტრი აფანასენკოვმა ბრწყინვალე კომბინაციის შემდეგ დასაჯეს მასპინძლები.

### დასავლეთი

**კალგარი 2:2 დეტროიტი**

**კალგარი 2:4 დეტროიტი**

*0:1 2:1 0:2*

**0:1 მოლტბი (1), 0:2 დევერო (23), 1:2 ჟელინა (26), 2:2 ნიემინენი (27), 2:3 დანდენო (51), 2:4 ზეტებერგი (60)**

„დეტროიტმა“ მეტიუ დანდენოს ძირითადში დარჩენით იხეირა. „წითელფრთიანთა“ თავკაც დეივ ლუისს აქამდე 7 მცველი გამოყავდა ყინულზე, მაგრამ ამჯერად ამჯობინა, ერთით ნაკლები უკანახაზელით ეთამაშათ. ზედმეტი სწორედ დანდენო გახლდათ და კრის ჩელიოსს ძველი ტრავმა რომ არ გართულებოდა, ეს ბიჭი თამაშგარეში დარჩებოდა.

და აი, იყოჩაღა კიდეც, 51-ე წუთზე სტუმართა მძლავრი შეტევის შემდეგ ყველას გაუსწრო და შაიბას ბადეში მიუჩინა ადგილი. თან ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა. მატჩის ბოლოს ჰენრიკ ზეტერბერგმა ცარიელ კარში გაიტანა. ისე, „დეტროიტმა“ სავსებით დაიმსახურა მოგება.

## საქართველოს თასი

# თასის ათასი წვრილმანი

## აზერბაიჯანული რაგბიც ჩვენია



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

თასის შარშანდელი მფლობელი „ლოკომოტივი" და მისი მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი

დღეს „ლოკომოტივის" ძირითად და სათადარიგო სტადიონებზე შიდა სარაგბო სეზონი იხსნება. საქართველოს თასის გათამაშების პირველ ეტაპზე შინაგან ჯარს შერწყმული და სახელგაორებული „დინამო" „აკადემია 2-ს" შეხვდება, „ხულიგანა" კი „არმაზს".

თასის გათამაშება განახლებული სისტემით ტარდება და წინასწარი გათვლებით ივლისის ბოლომდე გასტანს. კავშირის საშეჯიბრო კომიტეტმა მონაწილეობის მსურველი თოთხმეტი გუნდი რეიტინგის მიხედვით დაალაგა. ბრძოლაში ჯერ სუსტები ჩაერთვებიან, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა ძლიერებიც შეუერთდებიან.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში მონაწილეობას ერთი არაქართული გუნდიც მიიღებს. გურამ მოდებაძის გაწვრთნილი „ბაქო", რომელიც ფაქტობრივად აზერბაიჯანის ნაკრებია, მზადაა, სათამაშოდ თბილისში ჩამოვიდეს.

თასის გათამაშება რთული და ცოტა არ იყოს ძნელად გასაგები ფორმატით ტარდება და ვინ ვის და როდის შეხვდება, ამის გაშიფრვაში იქნებ გვერდით მოტანილი სქემები დაგეხმაროთ.

ოთხეტაპიანი შეჯიბრის პირველ საფეხურზე მხოლოდ რვა გუნდი „უნივერსიტეტი", „ბათუმი 2", „ხულიგანა", „შინაგანი ჯარი - დინამო", „იმედი L აკადემია 2", „არმაზი", „ყოჩები 2" და „ბაქო" ითამაშებენ. ისინი რეიტინგში მეშვიდე-მეთოთხმეტე ადგილებზე ამავე თანმიმდევრობით გადანაწილდნენ. უკვე შედგა ოთხი წყვილი პრინციპით 14-7, 13-8, 12-9 და 11-10, რომლებიც მხოლოდ თითო შეხვედრას ჩაატარებენ. წაგებული ოთხეული ქვეჯგუფს შეადგენს და მეთერთმეტე-მეთორმეტე ნომრებს გამოავლენს. ორ წრედ ყველა ყველას შეხვდება. მათთვის მთავარი თასისთვის ბრძოლა უკვე დამთავრებული იქნება, თუმც ჯგუფური შეხვედრების დასრულების შემდეგ მცირე ფარის მოპოვების შანსი კვლავაც დარჩებათ.

პირველი ეტაპის გადამლახავი ოთხეული რეიტინგის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნომრებს შესაბამისად „იმედი L აკადემიას", „ბათუმს", „ლელოსა" და „აიას" შეხვდებიან. პრინციპი დაახლოებით იგივე იქნება (3-10, 4-9, 5-8, 6-7), ოღონდ ერთი განსხვავებით, მესამე ეტაპზე გამსვლელები ორი თამაშის ჯამში გამოვლინდებიან. გამოვარდნილი ოთხეული ორწრიანი ჯგუფური ტურნირით მეშვიდე-მეათე ნომრებზე განაწილდება, ხოლო გამარჯვებულები პირდაპირ მესამე ეტაპზე დაშვებულ „ლოკომოტივსა" და „ყოჩებს" შეუერთდებიან.

ამ ეტაპზე უკვე ერთწრიანი ჯგუფური ტურნირი გაიმართება. მოედნის მასპინძელი განისაზღვრება რაგბის პრინციპით, ძლიერები მასპინძლობენ სუსტებს. საუკეთესო ოთხეული ნახევარფინალში იგივე პრინციპით ითამაშებს (1-4, 2-3), ხოლო მე-5 და მე-6 ადგილოსნები მე-7 და მე-8 გუნდებს შეუერთდებიან დამამშვიდებელი თასისთვის ბრძოლაში. კიდევ ერთ მცირე თასს გაითამაშებს მომდევნო ოთხეულიც ანუ მე-9, მე-10, მე-11, მე-12 გუნდები.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### მონაწილენი

1 ლოკომოტივი (თბ)
2 ყოჩები (თბ)
3 იმედი L აკადემია (თბ)
4 ბათუმი
5 ლელო (თბ)
6 აია (ქუთ)
7 უნივერსიტეტი (თბ)
8 ბათუმი 2
9 ხულიგანა (თბ)
10 შინაგანი ჯარი-დინამო (თბ)
11 იმედი L აკადემია 2 (თბ)
12 არმაზი (თბ)
13 ყოჩები 2 (თბ)
14 ბაქო

### I ეტაპი. 1 - 2 მაისი

| | | |
|---|---|---|
| ა | უნივერსიტეტი (7) – ბაქო (14) | V |
| ბ | ბათუმი 2 (8) – ყოჩები 2 (13) | VI |
| გ | ხულიგანა (9) – არმაზი (12) | VII |
| დ | შ.ჯ. – დინამო (10) – იმედი L 2 (11) | VIII |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ა წაგებული | ■ | | | |
| ბ წაგებული | | ■ | | |
| გ წაგებული | | | ■ | |
| დ წაგებული | | | | ■ |

**გათამაშების ცხრილი**

| I ტური | II ტური | III ტური |
|---|---|---|
| 1-4 | 3-1 | 1-2 |
| 2-3 | 4-2 | 3-4 |

11-14 ნომრებს გაითამაშებენ 2 წრედ

### II ეტაპი. 8 - 9 მაისი

| | |
|---|---|
| ე | იმედი L (3) – VIII მოგ |
| ვ | ბათუმი (4) – VII მოგ |
| ზ | ლელო (5) – VI მოგ |
| თ | აია (6) – V მოგ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ე წაგებული | ■ | | | |
| ვ წაგებული | | ■ | | |
| ზ წაგებული | | | ■ | |
| თ წაგებული | | | | ■ |

**გათამაშების ცხრილი**

| I ტური | II ტური | III ტური |
|---|---|---|
| 1-4 | 3-1 | 1-2 |
| 2-3 | 4-2 | 3-4 |

7-10 ნომრებს გაითამაშებენ 2 წრედ

### III ეტაპი. 15 მაისი - 27 ივნისი

1 ლოკომოტივი
2 ყოჩები
3 ე მოგებული
4 ვ მოგებული
5 ზ მოგებული
6 თ მოგებული

| I ტური | II ტური | III ტური |
|---|---|---|
| 1-6 | 5-1 | 1-4 |
| 2-5 | 4-6 | 5-3 |
| 3-4 | 3-2 | 6-2 |

| IV ტური | V ტური |
|---|---|
| 3-1 | 1-2 |
| 2-4 | 3-6 |
| 6-5 | 4-5 |

### IV ეტაპი. 3 - 11 ივლისი

**I – IV ადგილებისთვის**
3.07: 1 – 4
4.07: 2 – 3
10.07
თასი 11.07

**V – VIII ადგილებისთვის**
3.07: 5 – 8
4.07: 6 – 7
10.07
11.07

**IX – XII ადგილებისთვის**
3.07: 9 – 12
4.07: 10 – 11
9.07
9.07

**XIII – XIV ადგილებისთვის**
13 – 14
9.07




# ქება ჯიქებს

**გუშინ** რაგბის კავშირში ბავშვთა სარაგბო კლუბ „ჯიქის" პრესკონფერენცია ჩატარდა, რომელზეც კლუბის თავკაცებმა და თავად მორაგბეებმა 22-25 აპრილს ბურგუნდიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ისაუბრეს.

საფრანგეთში 15 წლამდე ასაკის მორაგბეთა საუკეთესო ნაკრებებმა და კლუბებმა მოიყარეს თავი. საქართველოდან მიწვევა „ჯიქმა" მიიღეს, მაგრამ კლუბის ფრანგმა კონსულტანტმა ალან მაიომ სხვა თბილისურ კლუბებსაც მიმართა და ორი-სამი ბავშვი თითქმის ყველა მათგანისგან შეიმატა.

ბიჭებმა ჯამში მეექვსე ადგილი დაიკავეს და უკან თვით ახალი ზელანდიის, ინგლისისა და არგენტინის ნაკრებები მოიტოვეს.

პრესკონფერენციის პარალელურად ტელევიზორში ბურგუნდიაში გადაღებული კადრებიც ტრიალებდა.

ათწუთიანი ფილმი მთავრდებოდა, ოთახში კავშირის პრეზიდენტი მერაბ ანთაძე რომ შემოვიდა. არჩევნებზე დაპირებულ საგანგებო პრესკონფერენციას კიდევ ერთხელ შეგვპირდა, ამჯერად კი „ჯიქების" წარმატებაზე ისაუბრა: „ამ ოთახში პრესას პირველად ვხვდები და მიხარია, რომ ჩვენი ურთიერთობა ასეთი სასიამოვნო ფაქტით იწყება. ამ ბიჭებმა ელიტაში შეაბიჯეს და სიხარულიც მოგვანიჭეს."

ალან მაიომ პრეზიდენტს ფრანგულ კლუბ „სკუფის" ჰალსტუხი უსახსოვრა. სამადლობელ სიტყვებში კი სპონსორები, კლუბების თავკაცები და მშობლებიც არ დაივიწყა. ეს ისეთი ასაკია, 10 დღით ბავშვის მონდობა დიდი პასუხისმგებლობაო.

აღმასვლის გასაგრძელებლად აუცილებელ პირობად მაიომ კავშირს ბავშვებზე ყურადღების მიქცევა მოსთხოვა, ხოლო მთავრობას სტადიონების პრობლემების მოგვარება.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ რაგბიში მოტრიალე ხალხს „ჯიქის" სპონსორები, „ყაზბეგი" და „თოლია" გაუმასპინძლდნენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge